ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავ...
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფ...

# საქართველო

...რთველოს სახალხო ფრონტი
...ელკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
...ოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 39 (1374) | 24-30 დეკემბერი, 1993 წ.

### სამარცხვინო ომის ექო

# ზუგდიდში ჯოჯოხეთი ვიხილე

Სამეგრელოში და კერძოდ, ზუგდიდში ამ ბოლო ორი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესები, საბედნიეროდ, ისე დამთავრდა, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის წარმოებული ომი, მიუხედავად ინფორმაციის საშუალებებში ამ ომის სამოქალაქო ომად გამოცხადებისა, სამოქალაქო ომში არ გადაზრდილა. მართალია, მოხდა მოსახლეობის თითქმის მასობრივი გაძარცვა, დაყაჩალება, ბანდიტური თავდასხმები და მკვლელობებიც კი, მაგრამ ჩემის აზრით, ყველაზე მთავარი ის არის, რომ სამეგრელოს რეგიონის მნიშვნელოვან ნაწილში აღსდგა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია და თითქმის ორი წლის მანძილზე მთლიან ქართულ სხეულს მოწყვეტილი ეს რეგიონი კვლავ ჩაება ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში. ეს, უნდა ითქვას, არსებული ხელისუფლების დიდი გამარჯვებაა. თუმცა, იმ მძიმე შეცდომებზე, დანაშაულებრივ ქმედებებზე, რაც ამ რეგიონში იქნა დაშვებული, როგორც სამთავრობო შეიარაღებული ძალების, ასევე მანამდე გამსახურდიას მომხრე ფორმირებებისა და ასე ვთქვათ, ყოველგვარი პოლიტიკისაგან განზე მდგომი „ნეიტრალური" ბანდიტების მიერ, თვალის დახუჭვა ნამდვილად არ ეგების და სიმართლე ისე უნდა ითქვას, როგორც ეს სიმართლეს შეეფერება.

ეს წერილიც სწორედ ამის მცდელობა გახლავთ, თუმცა ამას მკითხველი უფრო უკეთ სად განსჯის.

...უ ვინმეს, ასე თუ ისე გაბედულსა და ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებისაკენ მი...ილ ადამიანს სურს საკუთარ თავზე, ცხადში და არა სიზმარში, გამოსცადოს ნა...ლი ჯოჯოხეთის ყველა „სიკეთე", მაშინ არც მეტი და არც ნაკლები, უნდა ადგეს ...ენი „სანაქებო" რკინიგზის „სანაქებო" მატარებლით დასავლეთ საქართველო...ს, თუნდაც ზუგდიდისაკენ, სამწუხაროდ, ამჟამად საქართველოს დასავლეთ ნა...ის ამ ბოლო ქალაქისაკენ ...და აიღოს გეზი.

...ოჯოხეთი კი სწორედ მატარებელში ჩაჯდომის წუთიდან იწყება, თუმცა არც მა... ვართ სამოთხეში), ანუ იქიდან, როცა გათოშილ, გაბინძურებულ, უთეთრეულებიო, მგზავრებითა და ათასგვარი ბარგი-ბარხანით გადატენილ მატარებ... გაყინული და ოთხად მოკ... ილი ზოგჯერ ორი, ზოგჯერ სამი, ზოგჯერაც ხუ...დღე ელოდები ადგილზე ჩას...ვას და „მატარებლის ქურდბაცაცებსა" და უფრო ...ილი მასშტაბის ყაჩაღებს თა...აღწეულს რკინიგზის სადგურიდანაც ფეხით გი... მისვლა დანიშნულების ადგილამდე, სადაც არც შუქია, არც ადრინდელი, ზუ...დელთათვის ჩვეული სიხალისე და სადაც თითქმის ყველა ზუგდიდელის ფანჯ...ან გულსაკლავად იმზირება სიდუხჭირე, შიმშილი, და რაც ყველაზე უარესია, ..., ამაზრზენი შიში შინაური თუ გარეშე მტრის, მაროდიორ-მაოხარის, ადგილო...ვი, ლტოლვილი თუ ჩამოსული ბანდიტის, გაურკვეველი მომავლის წინაშე და ...რის გრძელი, სუსხიანი ღამის წყვდიადთან ერთად სწორედ ამ შიშთან ერთად ...ებს და ილვიძებს ქალაქი და მის შეშინებულ გულს კიდევ უფრო აფრთხობს ავ...ტისა თუ ტყვიამფრქვევის, ზოგჯერ ყუმბარის არცთუ იშვიათი და ძალუმი ექო. ...უ რამის გაძარცვა-გაოხრება შეიძლებოდა, ზუგდიდში უკვე გაძარცვულია, სა...ადოებრივი დაწესებულებებისა და სავაჭრო ობიექტების დიდი ნაწილი დამწვარ-

დასასრული მე-3 გვერდზე

# ექვსი თვე ტყვეობაში

...ელმა ქვეყანამ გაიგო თბილისელი მამა-შვილის, ზურაბ და მამუკა მამულაშ...ები აფხაზეთში დატყვევების ამბავი. მამუკას განთავისუფლების შესახებ თითქმის ... საინფორმაციო წყაროებმა გადასცეს. რაც შეეხება ბატონ ზურაბს მან ქა...ელი ტყვეებიდან უკანასკნელმა დატოვა გუდაუთის საკონცენტრაციო ბანაკი და ... თვის ტანჯვა-წამების შემდეგ ცოლშვილს დაუბრუნდა.

...ნელი, ძალიან ძნელი ყოფილა ამდენი ხნის განმავლობაში ტყვედ ნამყოფი ადა...ისგან ინტერვიუს აღება. ყოველივე თავსგადახდილს ხომ სისტემაში მოყვანა, გა...ული დრო სჭირდება. თუნდაც იმდენი მაინც, რომ შინ დაბრუნების ემოციებს ...ლობრივ მაინც გაემიჯნოს. მიუხედავად ამისა ჟურნალისტი ხშირად იძულებუ... ასეთ წამგებიან სიტუაციას დასჯერდეს და რესპონდენტის მთავარი სათქმელ... ანალიზი სხვას დაუთმოს.

...ენი პირველი შეკითხვა საკმაოდ ხანდაზმული იყო. იგი ექვსი თვე ელოდებოდა ადრესატს.

... ბატონო ზურაბ, ომი ომია, კაცს თავი აქვს გადადებული, ან დაბრუნდება ან არა. ამ დროს 15 წლის შვი...

დასასრული მე-4 გვერდზე

### ასეთი ამბებია პარლამენტში

თენგიზ სიგუა:

# „მე სიმართლის თქმის არ მეშინია"

## რეპორტაჟი საპარლამენტო უმცირესობის სხდომიდან

ა. წ. 14 დეკემბერს პარლამენტის შენობაში შედგა საპარლამენტო უმცირესობის ღია სხდომა, სადაც ისაუბრეს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე. სხდომას უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერის მოადგილე, ქალბატონი რუსუდან ბერიძე. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ფულად-საკრედიტო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი თემურ ბასილია, რომელმაც დაწვრილებით ილაპარაკა, თუ ვინ, რომელმა ფირმამ, როდის, რამდენი მილიონი გაიტანა კრედიტის სახით და აღნიშნა, რომ სადაც კი შევიდა კონტროლის პალატისა და შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლები, ყველგან აღმოჩნდა სერიოზული დარღვევებიო. მანვე აღნიშნა, რომ დღეს ჩვენი ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაშია, რაც გამოიწვია, პირველ რიგში არასწორად გატარებულმა საბანკო პოლიტიკამ. ვისაც სურვილი და ხელშემწყობი აღმოაჩნდა, ყველამ გამოიტანა მილიონობით კრედიტი. ეროვნული ბანკიდან: ყიდულობდნენ საქონელს, გაჰქონდათ საქართველოს ფარგლებს გარეთ, ხოლო სანაცვლოდ არაფერი შემოჰქონდათ. ამ კრედიტების გარკვეული რაოდენობა ხვდებოდა „შავ ბაზარზე", რის შედეგადაც ზოგიერთი ფირმა და კომერციული ბანკი უზომოდ გამდიდრდა, სახელმწიფოს ეკონომიკა კი მთლიანად მოიშალა და გაღატაკდა. როგორც ვიცით — ბრძანა თემურ ბასილიამ, — სახალხო კონტროლი ამ საკითხთან დაკავშირებით მუშაობს. დღემდე შემოწმებულია ბანკიდან კრედიტის სახით გატანილი 109 მილიარდი მანეთის მიზნობრივი გამოყენების რეალობა და აღმოჩნდა, რომ გაურკვეველია, თუ სად წავიდა და რას მოხმარდა ამ თანხის დიდი ნაწილი. ეს არ მოხდებოდა, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობას ყურად ეღო ჩემი მოთხოვნა: შეგვექმნა ისეთი მექანიზმი, რომლის უფლებამოსილებაშიც შევიდოდა კონტროლის გაწევა საბანკო საქმიანობაზე. კერძოდ, ვამბობდი, რომ საჭირო იყო: 1. სპეციალური საპარლამენტო კომისიის შექმნა საბანკო ოპერაციებზე ზედამხედველობის გასაწევად.

2. კოლეგიას უნდა აეღო თავის თავზე კონტროლის გაწევა კრედიტების გაცემა-გამოყენებაზე, მაგრამ სამწუხაროდ, ქვეყნის დასანგრევად მიღებული იქნა ყველასათვის დამღუპველი, მაგრამ ვიღაცისათვის საჭირო კანონმდებლობა, რომლითაც პარლამენტი კარგავდა სახელმწიფოსათვის სასიცოცხლო, მნიშვნელოვან ფუნქციებს. სამწუხაროდ, დეპუტატების უმრავლესობამ ამ კანონს მხარი დაუჭირა — განაცხადა ბატონმა თ. ბასილიამ.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ბატონი თენგიზ სიგუა, რომელმაც თავისი გამოსვლა დაიწყო შემდეგი სიტყვებით: „მე არც ტყვიისა მეშინია, არც იარაღის, არც დეპუტატებისა და არც მართალი სიტყვისო" და აღნიშნა, რომ „ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ვამტკიცებ, რომ ხელისუფლების მიერ გატარებული საბანკო პოლიტიკა იყო არა უბრალოდ შეცდომა, არამედ წინასწარ მშვენივრად გააზრებული, ჩაფიქრებული და ვიღაცისთვის ხელსაყრელი პოლიტიკა, რომელსაც თავისი მიზანი ჰქონდა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ასევე ვიღაცისათვის სასურველი შედეგი. უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ დვალიშვილს არ მიუძღვის ბრალი ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში, არიან პიროვნებები, რომლებიც ჯერ-ჯერობით ჩრდილში დგანან და არ მომხდარა მათი გამოაშკარავება.

1992 წლის ოქტომბერში, როდესაც დვალიშვილს ნიშნავდნენ ეროვნული ბანკის პრეზიდენტად, ვიცოდი რა მისი მონაცემების შესახებ, სახელმწიფოს მეთაურს ვურჩიე უარი ეთქვა ამ კანდ...ურაზე, რადგანაც, გარდა იმისა, რომ ... ...ილი ვერ ერკვეოდა საბანკო სისტემა... ...ამე ავადმყოფიც, რის გამოც ვერ ...ებს-მეთქი ნორმალურ მუშაობას დ... ...ზიე ამ თანამდებობაზე სხვა ვინმე, ...ნც ...ა ჯინჯიხაძე დაენიშნა.

შევარდნაძემ ჩემი თხოვნა ყურად არ იღო. დვალიშვილის მოღვაწეობიდან არ გასულა დიდი ხანი, რომ დეკემბრის შუა რიცხვებში ეკონომიკას უკვე შეეტყო უკანსვლა. დვალიშვილი აძლევდა უფლებას ყველას თავისუფალი ვაჭრობისას, რითაც მან ხელი შეუწყო სხვადასხვა ფირმებს შეუზღუდავად გამოეტანათ დიდი რაოდენობის კრედიტები. ამავე დროს, დაინტერესებული ფირმები შესანიშნავად ახერხებდნენ ლიცენზიის აღებას შესაბამისი სამინისტროებიდან, ტყუილი დაპირების საფასურად — სანაცვლოდ საქართველოში შემოიტანონ პროდუქცია, ნედლეული, მაგრამ სინამდვილეში არაფერი შემოსულა. თუმცა ტყუილისათვის დაწესებული იქნა ჯარიმა, მაგრამ იმდენად ცოტა, რომ მატყუარა ფირმა, ჯარიმასაც დიდი სიამოვნებით იხდიდა და კმაყოფილიც რჩებოდა, ვინაიდან ეს იყო წვეთი ზღვაში იმ მო-

დასასრული მე-2 გვერდზე

## ასეთი ამბებია პარლამენტში

### თენგიზ სიგუა:

# „მე სიმართლის თქმის არ მეშინია“

### ...ტაჟი საპარლამენტო უმცირესობის სხდომიდან

... I გვერდზე

...ებასთან შედარებით, რომელიც მან ნახა ტყუილი ლიცენზიით გატანილი თანხებიდან. ყოველივე ამის გამო, რამოდენიმეჯერ დავაყენე საკითხი ჯარიმების გადიდების თაობაზე და შეიქმნა კიდეც შესაბამისი კა...ნი, რომელიც ხელისუფლებამ შეგნებულად ... შეუგნებლად ჩაძირა. ამ დროს კი მ...სტაბები ფართოვდება. სახელმწიფოდან გატანილი იქნა ათობით მილიონი მანეთი, სანაცვლოდ კი 10%-ის გარდა საქართველოში კაპიკი არ შემოსულა. ამის შესახებაც მოვახსენე ბ-ნ სახელმწიფოს მეთაურს, მაგრამ მან ჯაკვირვებით მითხრა: „განა 10%-ი ცოტაა?“ — ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია — ბრძანა თენგიზ სიგუამ.

ამის შ... დეგ, სიგუას თქმით, მისივე განკარგულებ...თ, ...როვნულ ბანკში ინიშნება სამთავრობ... კომისია, რომელსაც ბანკის ხელმძღვანელ...ობა არ ემორჩილება. 1993 წლის ივლისის თვეში პარლამენტი იხილავს კანონს კორუფციის წინააღმდეგ. იქმნება პოლიციის განყოფილება, რომელსაც ევალებოდა მასალების შემოწმება და თვალყურის დევნება საბანკო ოპერაციებზე. პოლიცია სასწრაფოდ შეუდგა საქმეს და მოულოდნელად დაადგა ბანკს თავზე, მაგრამ ასევე მოულოდნელად მოხდა ამ განყოფილების გაუქმება, თუმცა ხუთი დღის შემდეგ კვლავ აღადგინეს. შეიძლება ითქვას, რომ საბანკო მაფიას ჰყავდა თავისი მფარველი.

თენ... სიგუამ აგრეთვე მოახსენა იქ მყოფ ...საზოგადოებას, რომ თურმე 1993 წლის ივლისის ბოლოს, მისი გადაყენებიდან რამდენიმე დღით ადრე, საქართველოში სპეციალური ...ვიზიტით ჩამოვიდა საერთაშორისო სავალუტ... ფონდის წარმომადგენელი. აღმოჩნდა, რომ მათ შეუმუშავებიათ მექანიზმი, თუ როგორ დაგვეხმარებოდნენ და საქართველოსათვის უნდოდათ გამოეყოთ 200 მილიონი დოლარი, ისინი მზად იყვნენ დაპირება ვა...ხორციელებინათ მაშინვე, ხოლო პროგრამ... ...დაფინანსება კი გაგრძელდებოდა 1994 ... ...ომდე. ყოველივე ამის დასტურ... ...ქაარს ბატონ თენგიზ სიგუასათვ... ...ლუცია დოკუმენტები, ამ უკანასკნ... ...ბატონ ე. შევარდნაძისათვის წა... ...კოველივე, მაგრამ შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია. სიგუას თქმით, არხებული დოკუმენტი ხულ მალე გადამალული აღმოჩნდა, მაგრამ დოკუმენტის ქსეროასლი მას შემორჩენილი აქვს და ხუთშაბათს ყველას წარუდგენს სესიის პერიოდში, ამავე დროს ბ-მა თენგიზმა ქალბატონ რუსუდან ბერიძეს სთხოვა, ტელეტრანსლიაცია დაეშვათ მომდევნო სესიისა, რადგანაც ხალხისთვის ბევრი რამ აქვს სათქმელი და ყველამ ყველაფერი უნდა იცოდესო. ბ-მა თენგიზმა აღნიშნა, რომ ვიღაცას აწყობდა საქართველოს კრახი და მხოლოდ რუსეთთან კავშირი, სწორედ ამიტომაც მოხდა ასეთი უყურადღებობა საერთაშორისო ფონდის მიმართ.

ბ-ნმა ...ენგიზ სიგუამ ერთი სენსაციური ამბავიც ...აცო დეპუტატებს, კერძოდ: 1993 წლის ...რტის პირველ ნახევარში რუსეთის ცენტრალური ბანკიდან პოლიციას შეუტყობინებია საქართველოს მთავრობისათვის, რომ მათ მიერ დაკავებულია ორი ქართველი პიროვნება: ერთი ჰომოსექსუალისტი, სათვალიანი მამაკაცი და ერთი მეძავი ქალი, რომელსაც ყელზე ყალბი ავიზო უკეთია, რომელშიც ფიქსირებულია მათ სახელზე გადარიცხული ასი მილიონი მანეთიო.

ბატონმა თენგიზ სიგუამ ბრძანა, რომ ეს ავიზო ყალბი კი არა, თურმე დვალიშვილის მიერ ოფიციალურად გაცემული ავიზო ყოფილაო.

სექტემბრის თვეში ჩვენ სასტიკად ვიყავით გაფრთხილებულნი, რომ რუსეთის ეროვნული ბანკი თურმე საქართველოს მხრიდან არსებულ ქმედებებს აფასებდა, როგორც დივერსიებს. და თუ ასე გაგრძელდებოდა, საქართველოს დაედებოდა 141 მილიარდი მანეთი ვალი რუსეთისა, რაც საბოლოოდ გამოიწვევდა ჩვენს დაკაბალებას.

აი, ეს პოლიტიკაა, სწორედ ლიბერალური, დანაშაულებრივი და ამავე დროს გააზრებული. ეს იყო ძალიან დიდი აფიორა, რასაც უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც ეკონომიკური სტრუქტურების მთლიანი მოშლა, ქვეყნის გალატაკება. ჩვენ უნდა ვთქვათ ხმამაღლა, რომ სწორედ არსებული პოლიტიკა აწყობდა ვიღაცას. ეს იყო ერთ-ერთი მეთოდი. ხალხისა და ქვეყნის ხელოვნურად დაცემისა, ხოლო დაბეჩავებული ადამიანისათვის ყველაფერი სულ ერთია, ოღონდ მშიერი არ მოკვდეს, რასაც ეტყვიან იმას გააკეთებს, საითაც მიუთითებენ, იქითკენ წავა. აკი შევარდნაძესაც სჭირდებოდა ალტერნატიული გზა ესენგესაკენ. და ეს გზაც გამოინახა. ქვეყანაში დაიწყო მწვავე ეკონომიკური კრიზისი, სახელმწიფო უფსკრულში გადაეშვა და ქვეყნის გამოსავალი შევარდნაძემ სნგ-ში ჰპოვა, მან ხალხს სნგ ერთადერთ მხსნელად მოუვლინაო“ — ბრძანა თენგიზ სიგუამ.

ბ-ნმა თნგიზმა პარლამენტარებს განუცხადა, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ დვალიშვილს დააფარონ ხელი, გაამართლონ მისი ქმედება, გააჭიანურონ გამოძიების პროცესი, რისთვისაც ჩაფიქრებული აქვთ ახალი კომისიის შექმნა, ასევე დიდი საშიშროებაა დვალიშვილის გაქრობისა. მან ყველაფერი კარგად იცის. ბ-ნმა თენგიზმა იქ მყოფ საზოგადოებას მისცა გარანტია იმისა, რომ თუ დვალიშვილი ცოცხალი დატოვეს, ერთ საათში ყველაფერს იტყვისო.

დარბაზი ახმაურდა. ვიღაცამ ბ-ნ თენგიზს ირონიულად მიმართა: ახლა უკვე არც თქვენი დატოვება შეიძლება დაცვის გარეშე დღევანდელი საუბრის შემდეგ და დროებით შავნაბადაზე ხომ არ დაბანაკდებითო? სიგუამ ხმამაღლა და ამაყად უპასუხა: „შევარდნაძეს ეშინია სიმართლის თქმისა, თორემ მე არც ტყვიისა მეშინია, არც ხალხის, არც თქვენი და არც ჩემი ნათქვამი სიტყვებისაო“.

ასე დაამთავრა თავისი გამოსვლა ბ-მა თენგიზ სიგუამ. მაგრამ დარბაზი არ ცხრებოდა „სირცხვილი უმრავლესობასო“ — გაისმა ხმა. ამ დროს კი უმრავლესობის სხდომა მიმდინარეობდა დახურულ კარს მიღმა. იქ ჟურნალისტები არ დაუშვეს, თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ უმცირესობის მისამართით ლოცვა-კურთხევას არც იქ აღავლენდნენ...

P.S. ხუთშაბათის სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვა არ შედგა...

რიმა ლომაური

# თავისუფალი არჩევნები რუსეთში
# რუსეთის მეზობლები
# თავისუფლებას საფრთხე ემუქრება

ამ დღისათვის გადაუჭარბებლად მთელი მსოფლიო ემზადებოდა. 12 დეკემბერი დადგა. თავისუფალი არჩევნები ჩატარდა. მსოფლიო შოკირებულია. რუსეთში შავმა ძალამ გაიმარჯვა.

დღეს ბევრი მსჯელობს იმაზე, თუ როგორ გახდა შესაძლებელი ჟირინოვსკისა და მისი ლიბერალ-დემოკრატების გამარჯვება. გაჩნდა მრავალი ვერსია, ძირითადები კი ასეთია:

1. საქართველოში უფრო პოპულარული): ეს მოხდა განზრახ, რათა ელცინს მისცემოდა საშუალება ორი რუსეთის — თეთრისა და შავის კარტი გაეთამაშებინა და ამით არა მხოლოდ მეტი უცხოური ინვესტიციები და დახმარება მოეპოვებინა, არამედ თავის ინტერესებისდა მიხედვით ეკონტროლებინა სიტუაცია თავის მოსაზღვრე რეგიონებში (მაგ. დაგვიბრუნებს აფხაზეთსა და ოსეთს და ამას თავის დემოკრატიულობად და ჩვენდამი კეთილგანწყობად ჩაგვათვლევინებს, ან არ დაგვიბრუნებს და ამას რუსეთში მოქმედ ბნელ ძალებს გადააბრალებს — რა ვქნა, ამ საკითხში მაჯობესო);

2. რუსეთში უფრო პოპულარული): რუსეთის მოსახლეობამ ხმა მისცა არა ჟირინოვსკისა და მის პლატფორმას, არამედ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ნელი ტემპის გამო. ამ თვალსაზრისსაც, რა თქმა უნდა, აქვს არსებობის უფლება, იგი არაა მოკლებული ლოგიკურობას, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში დამარცხებულთა თავის დანუგეშების სურვილს უფრო ჰგავს, ვიდრე მომხდარის ღრმა და საფუძვლიან ანალიზს.

ასეა თუ ისე, რეალობა მეტად მკაცრია — რუსეთმა პრაქტიკულად გადადგა ნაბიჯი უკან, გამოხატა თავისი უარყოფითი პოზიცია არა რეფორმების მიმდინარეობის ტემპებით, არამედ საერთოდ მათი არსებობის ფაქტით. კვლავ თავი იჩინა რამოდენიმე წლით მიძინებულმა ძველმა სენმა — რუსების ინერტულობამ, მათმა ტრადიციულობამ ამ სიტყვის ცუდი გაგებით — ყოველგვარი ახლისა და პროგრესულის მიუღებლობამ. ამის თქმისათვის ვინც ნაციონალისტობას დაგვწამებს, ჩვენ ვთხოვდით, რუსეთის ისტორიისათვის კიდევ ერთხელ გადაევლოთ თვალი. მაშინ აღარ მოეჩვენებოდათ უცნაურად ის ფაქტი, რომ უდიდესი რეფორმატორი ამ ქვეყნისა — პეტრე პირველი, ყოველ თავის ბრძანებულებას ასე ამთავრებდა: „ვინც ამას არ დაემორჩილოს, გაროზგილ იქნესო“. არც ის, რომ რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ მოკლულ იქნა ალექსანდრე მეორე, რომელმაც 1861 წლის მეტად პროგრესული საგლეხო რეფორმა გაატარა; არც ის, რომ მოკლულ იქნა პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი, კიდევ ერთი რეფორმის ავტორი და განმახორციელებელი. სხვა მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ ჩამოთვლილებიც კმარა იმის საილუსტრაციოდ, რომ ამ ქვეყანაში ზევიდან მომავალ ცვლილებებს ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ და მათი ცხოვრებაში გატარება ან საბოლოოდ ფერხდებოდა, ან, უკეთეს შემთხვევაში, საჭირო ხდებოდა ზურგს უკან დამალული როზგის ამოქმედება. სხვაგვარად — თანდათანობით, ეტაპობრივი, ევოლუციური რეფორმა რუსეთში დასაღუპად იყო განწირული.

იგივე განმეორდა დღესაც — როგორ არ ეცადნენ რუსეთის მოსახლეობაში დასავლური ფასეულობები დაემკვიდრებინათ, ადამიანების ყურადღება ძირითადად მატერიალურ მხარეზე გაემახვილებინათ, ხან ვაუჩერები ურიგეს, ხან „სნიკერსები“ გაასინჯეს, ზედ „რასპუტინის“ ძვირფასი არაყიც დააყოლებინეს, თან სულ იმას უჩიჩინებდნენ, მდიდარი მაშინ იქნები და ეს ყველაფერი მაშინ გექნება, თუ გაიდარსა და იავლინსკის მისცემ ხმას... გრამ რა?!. ვიღაც ვანია ადგა და... კერსს“ ქერქიანად მოხარშული კარ... ლი ამჯობინა, „რასპუტინს“ — მეზ... გამოხდილი არაყი და ხმაც ჟირინ... მისცა. მისმა ბუნებამ კვლავ არ ... ზევიდან მომავალი ეტაპობრივი რეფ... რომელსაც იგი ცივილიზებული სა... გზით უნდა წაეყვანა. სამაგიეროდ ... ყურს მშვენიერად მოხვდა და გუ... ლბუნად დაედო ლიბერალურ-დემო... ული პარტიის თავმჯდომარის ვ. ჟ... ვსკის არაერთგზისი განცხადება იმ... სახებ, რომ რუსეთს სჭირდება გას... ლი თბილ ზღვებზე, მაგალითად ... თის ოკეანეზე; რომ რუსეთი ... აღდგეს, როგორც მინიმუმი, საბჭო... ეშირის ძველ საზღვრებში, მხოლოდ ... რესპუბლიკებზე ლაპარაკი უკვე ზ... იქნება, ყველა მათგანი გუბერნიის ... ტუსს მიიღებს და სხვ. მისი მტკი... ეს ყველაფერი რუსეთს სისხლხორც... სჭირდება და რადგან ასეა, იგი ამ... აკეთებს. ანუ, სხვაგვარად რომ ... ტერიტორიებს, სადაც სულ ცოტა ... ლიონი ადამიანი ცხოვრობს, რეა... დაუდგათ ოკუპაციისა და შემდგომ... ქსიის საფრთხე. დასავლეთი კი, თუმ... რდაპირი ოკუპაცია მის ქვეყნებს ა... ქრებათ, დადგა ცივი ომის განახ... და „რუსული დათვის“ ფაქტორის ... ერების საშიშროების წინაშე. იგ... ჯერობით ამაზე ხმამაღლა არ ლ... კობს, სამაგიეროდ, გამოთქვამს რა... აზრს 12 დეკემბერს ჩატარებულ ... ნებზე, მის მთავარ შედეგად მიღებ... ნსტიტუციას ასახელებს, რომელიც ... ოდ აძლიერებს პრეზიდენტის ძალა... ბას. ეს კი აშკარად ნათელყოფს, რ... სავლეთში მეტად შეშფოთებული არ... მოვლენათა შემდგომ განვითარებას ... ან.

იმის შანსი, რომ ჟირინოვსკი ... ნი მისნი ხელისუფლებაში მოსვლ... მდეგ პრობლემებს სახელმწიფოებრი... ზიციიდან შეხედავენ და შეხედუ... შეიცვლიან, მეტად მიზერულია. სა... ბელია უფრო, რომ ახალ პარლამენ... ძველ პრეზიდენტს შორის წინა... გობები, ხაზბულატოვის უზენაესი ... სი არ იყოს, უფრო და უფრო გ... ვდება. მხოლოდ ისაა ჯერჯერობით ... გებარი, ეყოფა თუ არა ელცინს იმ... ლა, რომ თავისი პოლიტიკის გა... კონსტიტუციური გზებით უზრუნვ... თუ კვლავ ტანკებს მიუსევს ოპონ... და სამართლებრივი სახელმწიფოს ... ისევ არასამართლებრივი მეთოდებ... ჯობინებს...

თენგიზ გოგოტიშვი...

P.S. როდესაც ჟირინოვსკის გამარ... ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღ... არჩევნების წინა დღეს გათამაშებული ... ლი ვარიანტიც“ — მთელი კამპანია მ... სკრედიტირების მიზნით. რუსეთის ტე... ამ თითქოს დაივიწყა, რომ მთელს ... ოში წინასაარჩევნო კამპანია და პრ... ტების ტელეგამოსვლები, აგრეთვე მათ... ვნულ და პოლიტიკურ თვისებებზე მს... არჩევნებამდე ოცდათხი საათით ადრ... ბა: გამოიყვანეს პოლიტიკოსები, მსახიო... ალანძღვინეს ჟირინოვსკი და მისი პარ... ვენეს ფილმი „Ястреб„ ლიბერალურ-დ... ტიულ პარტიასა და თავმჯდომარეზე... ფერმა ამან კი უკუშედეგი გამოიღო... ვე, როგორიც მოიტანა 1990 წლის ... ტომბერს ი. წერეთლის გამოსვლამ გა... დიას წინააღმდეგ — ამომრჩეველმა ... ჩაგრულ“ კანდიდატს მისცა...

• რუსებმა ვერ ან არ გაითვალისწ... ქართველის მწარე გამოცდილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზუგდიდში ჯოჯოხეთი ვიხილე

დასაწყისი 1 გვ.

ლაბუგულია, მოსაპარი მოპა- ლია, გასაზიდი გაზიდულია ყოველივე ამის შემხედვარე ლაქში მოხვედრილ უცხო ს სასიამოვნოდ გააკვირვებს ლაქში ჯერ კიდევ შემორჩენი- ი ელექტროტრანსპორტის — ოლეიბუსების ხილვა, რომ- ბიც, როცა დენია ქალაქში, თგულად ემსახურებიან მოსა- ეობას.

იმ კატაკლიზმებმა, რაც ამ სა- ოდ წელიწადში გადაიარა სა- გრელოს გულის, ზუგდიდის ვზე, შესამჩნევი კვალი დაამჩ- ა აქაურთა ცხოვრებას. ბევრი ური აიძულა სხვაგან ეძებნა თსაყუდელი და ზოგიც პო- ტიკური მრწამსის, ზოგიც ონომიკური სიდუხჭირის, რავლესობა კი ქაოტური ცხო- ების გამო აიყარა დედაბუდია- ლ მამა-პაპეული მიწიდან და ეთეს შემთხვევაში თბილისში საქართველოს სხვა რეგიონე- ი, უარეს შემთხვევაში კი რუ- თისა თუ ახლო საზღვარგარე- ს სხვა ქვეყნებში მიმოიფანტა ბედის მაძიებელთა იმ უზარ- ზარ არმიას შეუერთდა, ასე ვად რომ არიან ამ ქვეყნებში უმცა, უნდა ითქვას, რომ ეს ოცესი არათუ ზუგდიდისა- ის, მთელი საქართველოსთვი- ცაა დამახასიათებელი და და- უსტებელი მონაცემებით, ეისათვის შეიდასათასამდე ენი თანამემამულეა წასული მშობლოდან ამ ბოლო ხანს).

გამოცდილი თუ გამოუცდე- ი, ეროვნული მოძრაობიდან მოსული თუ მისი მოწინააღმ- ეგე ბანაკიდან ალზევებული პო- იტიკოსების წყალობით ზუგ- ლი იქცა სწორედ განტევების ვად და თითქმის ყველა შეც- მა, ნებსითი თუ უნებლიე და- შაული, რომელმაც ლახვარი სცა მთლიან ქართულ სხე- ლს, ნაწილობრივ ზუგდიდსა ზუგდიდელებსაც დაბრა- დათ და ამ უნიათო, დრომოჭ- ლი პოლიტიკანების უთავო ღმერთო შემინდე, შეგნებუ- ი ქმედებების გამო გაოხრდა ამ ლო წარსულში აყვავებული გდიდი, სენაკი, ხობი, მთლია- დ სამეგრელო და სრულიად ქართველოც.

ზუგდიდი გახლდათ სწორედ ნანატრი განძი, ის ჯადოსნუ- კუნძული, რომელზეც კარგა ნი ილესავდა კბილებს ჩვენში რისკაცებად და სამშობლოს თგულ დამცველებად სახელ- ბულ მაოხართა ერთი ჯგუფი, რომელმაც მხოლოდ ამ სა- ლოო მიზნისთვის (ქალაქის ძარცვისათვის) გადადო თავი შეუტია გამსახურდიას შეია- ღებულ ძალებს.

ამ დრამის ფინალი ყველამ რგად ვუწყით. დამარცხებუ- მა გამსახურდიამ და მისმა მო- რეებმა თავს უშველეს, თავი- თ მაშველ ჩეჩენ-აფხაზებთან თად აფხაზეთს გაიხიზნენ, გიც სამეგრელოს ტყეებს შეე- ვნენ და ზუგდიდი სამთავრო- ჯარებმა დაიკავეს და მიუ- ღავად დიდი ცდისა იმ ადამი- თა მხრიდან, ვინც უფრთხილ- ბა საქართველოს ერთიან სხე- ს და ვისაც ხელეწიფება გარ- ული ზემოქმედება მოახდი- ს მოვლენებზე, მაოხართა უფები მაინც შეესივნენ ზუგ- დსა და მის სოფლებს და თუ, ქვათ, სენაკი (როგორც ამას ნაკელები ამბობდნენ), თორმე- საათის განმავლობაში ჰქო- ათ აკლებული, ზუგდიდი მთე- ერთი კვირა ძარცვეს და ნა- ძარცვი ავტომანქანების, ავე- ჯით, ბროლ-ვერცხლითა და ტე- ლევიდეოაპარატურით სავსე სა- ტვირთო მანქანების კოლონები გაუყენეს აღმოსავლეთ საქართ- ველოს გზას. განმკითხავი ამ ერთი კვირის განმავლობაში არავინ გამოჩნდა. ვინც რა „იშოვა“, ხახვივით შერჩა კიდეც. ვისი ოჯახიც დაიქცა, საბოლო- ოდ დაიქცა კიდეც.

იმას, რაც ჩვენ თვალწინ მო- ხდა და ხდება, მე არ ვიცი რა უნდა უწოდო კაცმა. ჩვენს ისტო- რიაში ცნობილია ლეკიანობა, თათრიანობა, მაგრამ იმას, რა- საც ხელისუფლების წაყრუებით- თა თუ უსუსურობით სამეგრე- ლოში, სულაც საქართველოში ხდება, ვფიქრობ, მეისტორიე უფრო დაარქმევს ზუსტ სახელს და ისე განსჯის, როგორც ამას უზენაესი სამართალი მოითხოვს.

სიმართლისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ ჩასულ მაოხართ გზირებად და ხელისშემწყობე- ბად ადგილობრივი თუ ლტოლ- ვილი ავაზაკები მოევლინენ, რომლებიც თურმე სამთავრობო ჯა- რისკაცის მანტიამოსხმულნი ძარცვავდნენ და იკლებდნენ ხალხს და როგორც ადგილობ- რივები ირწმუნებიან, უფრო სა- დისტურადაც იქცეოდნენო.

რა თქმა უნდა, კარგი და ცუ- დი ყველგან ურევია და ადგილო- ბრივებიც შესანიშნავად ერკვე- ვიან იმაში, თუ ვინ გაძარცვა ისინი და რომ პატიოსანი, წესი- ერი ჯარისკაცის ზურგსუკან ვი- ლაც-ვილაცეები ჯიბეებს ისქელე- ბენ და იმ პრინციპით მოქმედე- ბენ, რუსების ერთი ხატოვანი გა- მოთქმა რომ შეიცავს: “Война все спишет“! მაგრამ ხალხის მახსოვრობა ისეთია, ამგვარ უმ- სგავსობათა შესახებ თაობიდან თაობას გადასცემს ამბებს და ყველას თავისას მიუზღავს: მტ- ყუანსაც და მართალსაც!

აღსანიშნავი ისიცაა, რომ ძა- რცვის მეთოდიც დიდად არ გან- სხვავდებოდა თურმე შუასაუკუ- ნეების მაოხარ ჯარისკაცთა მე- თოდებისაგან: ოჯახებში შეჭრა, ცემა, მუქარა, ავეჯის, სახლის დაცხრილვა, შინაური პირუ- ტყვის დახოცვა, დაცინვა, სუ- ლში ჩაფურთხება, ზოგან ოჯა- ხის წევრთა დახოცვა, ყველა- ფრის წართმევა... ასეთი შემთხ- ვევა ყოფილა ს. არჩელში: ორი თუ სამი მაოხარი შემოკვდომია ოჯახის თავკაცს თუ სოფლის ღირსების დამცველთ გაძალი- ანებისას იმავე დღეს მოვარდნი- ლან ამ მაოხართა რაზმელები და ამ სახლის პატრონიდან დაწ- ყებული ოცდაშვიდი სახლი ნა- ცარტუტად უქცევიათ „მუხებს“ თუ გაუბიცებს ესროდნენ თუ- რმე) და მშვიდობიან მოსახლე- თა მსხვერპლიც მოჰყოლია ამ ვაი — ჯარისკაცთა „გმირულ“ გამოხდომას.

აქ, ზუგდიდში, ემასაც ამბო- ბენ, რომ მაოხარ-მაროდიორებს ქალაქში შესვლამდე სიებიც კი ჰქონიათ იმ ადამიანებისა, ვინც ასე თუ ისე შეძლებულად ითვ- ლებოდა და ქალაქში შესვლითა- ნავე, პირველ რიგში, სწორედ მათ მიადგნენ თურმე, უბნებად დაიყვეს ქალაქი და პირწმინდად „გაასუფთავეს“. როცა ამათ სუ- ლის გარდა (ზოგს ისიც კი არა) არაფერი შეარჩინეს, მერე ქუჩა- ქუჩა, ეზო-ეზო, სოფელ-სოფელ დაიწყეს გასვლითი „ოპერაციე- ბი“ და თუ რამ თვალში მოუვი- დათ, წაიღეს კიდეც. ერთი რამ, რაც ადგილობრივებმაც შესანი- შნავად გაიგეს, ის გახლავთ, რომ ამ მაოხართათვის ოპოზი- ცია — პოზიციას, ანუ იმას, თუ ვის (შევარდნაძის თუ ზვიადის) კაცი იყო ან არის მისი მსხვე- რპლი (ასანაკლები და გასაძა- რცვი) არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია და ორივე მხარის თა- ნამგრძნობი ერთნაირი მონდო- მებით აუკლიათ. ამის ხატოვან მაგალითად ის ფაქტები გამოდ- გება, ჩემს სოფელში რომ მოხდა: ერთი ჩვენი სოფლელი, რომე- ლიც კომუნისტების მმართვე- ლობის ჟამს სხვადასხვა თანამ- დებობაზე იყო და რიგიანი სა- ხლიც ჰქონდა გამართული, ამ სიტყვებით შეჰგებებია მომხდუ- რებს: მე შევარდნაძის კაცი ვარ! მაოხარ-მომხდურს უპასუხია, წადი შენიო. და გაძარცვასთან ერთად კარგა ლაზათიანადაც მიბეგვეს თურმე. როგორც აქაუ- რები ამბობენ, თვით ბატონ ედუ- არდ შევარდნაძის იქ ყოფნის ჟამს მომხვდურები გაძარცვის მიზნით მიუვარდნენ თურმე ს. რუხის კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს, თავისი დროის ერთ-ერთ მსხვილ სამეურნეო მუშაკს ბატონ ზაურ თოდუას, რომელიც შემოაკვდათ კიდეც. ეს მიუხედავად იმისა, რომ ზაურ თოდუა ბატონ ედუარდის აქტი- ური თანამგრძნობი გახლდათ და პირადული ურთიერთობაც ჰ ქონია მასთან ედუარდ შევარდ- ნაძის საქართველოს კომპარტი- ის სათავეში ყოფნის ჟამს, როცა იგი არჩეული იქნა რუხის საარ- ჩევნო უბნიდან სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ან ფული ან სული! ეს არის დღევანდელ მაოხართა ერთადე- რთი დევიზი. სხვა დევიზი და ცნება მათთვის არ არსებობს. ამ დევიზის ქვეშაა დარაზმული ყვე- ლა, ვისაც შუბლზე ძარღვი აქვს გაწყვეტილი და ვინც მხოლოდ იმიტომ იკიდებს ავტომატს, რომ საშოვარი იშოვოს და სხვა ყვე- ლაფერი მისთვის ნულის ტოლ- ფასია.

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ამისთანა ვაი-ჯარის- კაცების წყალობით სახელი ებ- ღალება წესიერ, მართლაც სამ- შობლოსათვის გულანთებულ ბევრ ჯარისკაცს და მოსახლეო- ბის აბსოლუტურ უმრავლესობას. სწორედ ამ მიზეზითაც უკვე ზო- მაზე მეტადაც კი ეზიზღება ყვე- ლა ფორმიანი და ავტომატიანი კაცი.

მოსახლეობას სიმშვიდე უნ- და. სიმშვიდის გარანტი კი ჯერ არსად ჩანს. თუმცა ხელისუფ- ლება კი იჭაჭება პრესა-ტელევი- ზიიდან, რომ აქ ამდენი დავიჭი- რეთ, იქ იმდენიო, საგანგებო მდ- გომარეობაც ვითომ მოქმედებს, მაგრამ ყაჩაღობა და მაროდიო- რობა ძველებურად გრძელდება და უფრო ფართო მასშტაბებსაც კი იღებს. თუმცა, წესრიგს ვინ დაამყარებს, როცა წესრიგის და- მცველიც (რა თქმა უნდა, არა ყველა) თვითონ ბანდიტობს და ყაჩაღობს.

ზუგდიდს დღეს სამხედრო პო- ლიცია და საერთოდ პოლიცია აკონტროლებს. უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის განწყობა მათ მიმართ დადებითია. იკლო ყაჩაღობის, თავდასხმების ფაქ- ტებმა, თუმცა სრულ სტაბილი- ზაციამდე ჯერ შორსაა. ადგი- ლობრივ მოსახლეობას და სამ- ხედრო პოლიციელებს შორის თბილი, ადამიანური ურთიერ- თობა მყარდება. ამის დასტურად ერთი მაგალითიც კმარა: ერთ- ერთი პიკეტის რაზმელები შეშას უხერხავდნენ და უჩეხავდნენ იქვე, მახლობლად მცხოვრებ მა- რტოხელა, მოხუც მანდილო- სანს და მათი ამ უბრალო, მა- გრამ ღრმად ადამიანური საქცი- ელის შემხედვარეს იმედი მომე- ცა, რომ გადაშენება-გადაგვარე- ბა არ გვიწერია, თუ ასეთი ჯა- რისკაცები გვეყოლება და წეს- რიგის დაცვას სწორედ ისინი აი- ღებენ ხელში. ქალაქში და სოფ- ლებშიც თითქმის ყველგან ცხვე- ბა პური. მართალია, ნორმირე- ბულად 300 გრამი), მაგრამ მა- ინც მიეწოდება მოსახლეობას. უფრო ცუდადაა ელექტროენერ- გიის საქმე, არ არის საწვავი, ხა- ლხი ისევ ფეხით, ურმით, ზო- გჯერ ტრაქტორითაც და მანქა- ნითაც (ვის როგორ შეუძლია) დადის, ყველას რაღაცა აქვს ზუ- რგზე მოკიდებული. ზოგი ყიდის, ზოგი ყიდულობს და როგორც ყველგან, საქართველოში, აქაც ხელისუფლებისაგან სოციალუ- რად დაუცველი და დაუსაქმებე- ლი ადამიანები თვითონ პოუ- ლობენ საარსებო წყაროს და ასე მიათრევენ გაძაღლებულ წუთი- სოფელს.

ზუგდიდსაც, ისევე, როგორც ბევრგან, ბატონ ნოდარ ნათაძის მოსწრებული სიტყვებით რომ ვთქვათ, „გარემონტებული“ კო- მუნისტები დაეპატრონნენ. რო- ცა ზუგდიდის გამგეობის ხელმძ- ღვანელთა შემადგენლობა დამი- სახელეს, კვლავ ძველი ქალა- ქკომ-რაიკომი გამახსენდა. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება ზუგდი- დის გამგებელს, მის ახალგა- ზრდა მოადგილეს და რამდენიმე ხელმძღვანელს, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ყველა ძირითად საკ- ვანძო თანამდებობაზე, სოფლე- ბშიც კი, ისევ ყოფილი კომუნის- ტები დაბრუნდნენ და ადგილობ- რივი მოსახლეობა მწარედ იცი- ნის: მალე, ალბათ, რაიკომებსაც შემოიღებენ და ბიუროს სხდომე- ბსაც გამართავენო.

მთელი გალის, ოჩამჩირის და ქალაქ სოხუმის მოსახლეობის ერთი ნაწილი ზუგდიდშია შეხი- ზნული, თუმცა ახლა ბევრი მათ- განი რუსეთში, ბევრიც თბილი- სში გაემგზავრა ბედის საძებნე- ლად, ქალაქსა და მის სოფლე- ბში მაინც იმდენი ლტოლვილია, რომ თუ ქმედითი დახმარება არ გაეწია ზუგდიდს ფქვილით, საწ- ვავით მომარაგების საქმეში, ამ ზამთრის გადატანა ფრიად გაძ- ნელდება და ესეც რომ არ იყოს, სრულიად გაჩანაგდება ოდესღაც თვალწარმტაცი ტყეთა [illegible]. ტყის გახსენებაზე ისიც [illegible] უთხრა და ეთხოვო მთავ[illegible], რომ შარშან ამერიკული [illegible] მოედო ზუგდიდის ტყეებს და თუ შარშან, გასაგები მიზეზების გა- მო, ხელისუფლება ვერაფერს გახდებოდა ამ სამ[illegible] მავნე მწერთან ბრძოლაში, იქნებ წელს ან გაისად მაინც მიხედოს ამ საქმეს.

იქ ყოფნისას საბოლოოდ დავ- რწმუნდი, რომ „ზვიადიზმს“ სა- მეგრელოში საყრდენი გამოეცა- ლა და ძირითადი ფაქტორი ამ საყრდენის გამოცლისა აღმო- ჩნდა გამსახურდიას მიერ მა- შველ სამხედრო მალად ჩეჩენ- აფხაზ ბოევიკთა მოწვევა, რამაც ადგილობრივ მოსახლეობას სა- ბოლოოდ აუხილა თვალი და იმ „ზვიადისტებსაც“ კი, რომლებიც მანამდე ფანატიურად ერთგუ- ლებდნენ საკუთარ კერპს, საბო- ლოოდ შეერყათ რწმენა მის მი- მართ და ამ ჩეჩენი ბოევიკების ტაშ-ფანდურა ვინც იხილა ზუგ- დიდის ბაზრის წინ და მის ქუჩე- ბში, მათი ავტომატების მიერ და- კრული „ლეზგინკა“ ვინც მოის- მინა, მათ მითხრეს, რომ გამსა- ხურდია თურმე საკუთარი სკა- მისათვის იბრძოდა და ჩვენც ამისთვის გვწირავდაო და ისიც თქვეს, რომ ბევრ მის მებრძოლს იარაღიც დაუყრია, ქართველი- სათვის მე ჩეჩენს ტყვიას არ ვას- როლინებ და მის გვერდით ვერ დავდგებიო.

ასე რომ, სამეგრელოში, ჩემი აზრით, „ზვიადიზმის“ პრობლე- მა მოიხსნა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღევანდელ ხე- ლისუფალთ მადლიერი თვალე- ბით უყურებდეს მოსახლეობა. იმან თუ ჩეჩენი მოიშველია, ამან რუსს დაუძახა და საბოლოოდ კი ჩვენ გვეტირა ყოფაო.

მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ლტოლვილთა ბე- დიც. აფხაზები აქტიურად მუშა- ობენ იქაური დემოგრაფიული სურათის საბოლოოდ შეცვლი- სათვის, ისეთ სამხედრო დანიშ- ნულების საფორტიფიკაციო ნა- გებობებს აგებენ ე.წ. საქართვე- ლო-აფხაზეთის საზღვარზე, რომ თუ არა რუსის ჯარი, ჩვე- ნმა სანახევროდ დაუკომპლექ- ტებელმა და მოუწესრიგებელი ჯარისკაცებისაგან შემდგარმა არმიამ, ვეჭვობ რამე შეძლოს. ამასობაში კი ზუგდიდელი თუ ლტოლვილი ავაზაკები, რო- გორც ამბობენ, საერთო ენას პო- ულობენ აფხაზ და ჩეჩენ ბოევი- კებთან და მათი „საქმიანი“ გა- რიგების შედეგად ზუგდიდისა და სხვა ქალაქების ბაზრებზე ხურ- დავდება (ჩალის ფასად) რუსულ ფულზე გალის, ოჩამჩირის, სო- ხუმის, გულრიფშის ბანაკებიდან უხვად გამოტანილი კუპონები, აქვე იყიდება იქაურ ქართველთა ქონება და იკვეთება ერთი სამ- წუხარო და დამაფიქრებელი ტე- ნდენციაც: ლტოლვილთა ერთი, მცირე ნაწილი [illegible] ობს საკუ- თარი [illegible]რზებით ძიძებნოს საე- რთო ენა აფხაზ ბოევიკებთან და მათ ხელმძღვანელებთან და რო- გორც ამბობენ, ოლონ[illegible] საკუთარ კარ-მიდამოს და[illegible]ნდნენ, არც მონობას ითა[illegible]ბენ და შეიძლება გვარ-რჯუ[illegible] შე- იცვალონო. მე არ ვი[illegible], რამ- დენად მართალია, მაგ[illegible] [illegible] ფიქრებული რო[illegible] არ[illegible]

[illegible]

# ექვსი თვე ტყვეობაში

დასასრული

ლის ფრონტზე წაყვანა აღიარებული დოგმებიდან გადახვევა ხომ არაა?..

— მოდით ჩვენს ისტორიას გადავხედოთ, ვახტანგ გორგასალი ზუსტად მამუკას ასაკში ჩაება ომში, დავით აღმაშენებელი ერთი წლით უფროსი იყო, ხოლო ლაშა გიორგიმ საბრძოლო ნათლობა 12 წლის ასაკში მიიღო.

სხვათაშორის, თქვენ პირველი არა ხართ, ვინც მსგავსი კითხვით მომმართა. ტყვეობაში გერმანელმა ჟურნალისტებმაც მკითხეს — ამ ასაკის ბავშვის ომში წაყვანა თქვენში ტრადიციული ხომ არ არისო. მე დავუდასტურე — ჩვენში ისტორიულად მხედრებს ბავშვობიდან ზრდიდნენ მეთქი. ისიც ვთქვი, რომ ჩემი ძველი გვარი ბაქრაძეა. 1924 წელს წინაპრები კომუნისტებმა დამიხვრიტეს და იძულებულნი გავხდით ჩვენი აზნაურული გვარი გამოგვეცვალა. აზნაურები კი ტრადიციულად მამულის დამცველთა პირველ რიგებში იდგნენ, ისე რომ ჩვენ გენეტიკურად მოგვდევს მხედრული სული მეთქი.

მამუკას ომში წაყვანის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიცაა, რომ ოფიცერი უნდა გამოვიდეს. ადრეულ ასაკში დენთის სუნის შეგრძნება კი მას იმ თვისებებს განუვითარებს, რომელიც ნამდვილ მეომარს უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, ამ ასაკში და უფრო ადრეულში, ბავშვი თავისი ქვეყნის ნამდვილ პატრიოტად უნდა გრძნობდეს თავს.

**— ბატონო ზურაბ, თქვენი ქვედანაყოფის ტყვედ ჩავარდნის შესახებ სამაოდ ბევრი ითქვა, მაგრამ ალბათ უპრიანი იქნება თუ ამის შესახებ თქვენც გვეტყვით.**

— მაშინ ოდნავ შორიდან დავიწყებ. ბოლო წლები ვმუშაობდი საქართველოს რკინიგზის დაცვის სამსახურის უფროსად. გვევალებოდა ხიდების, გვირაბების და მოძრავი ტვირთის დაცვა. 1989 წელს იარაღი ჩამოგვართვეს. ერთი წლის შემდეგ ისევ დაგვირიგეს. გამსახურდიას მთავრობამ რკინიგზის დაცვის ყველა პოსტი გააუქმა, მოგვიანებით ისევ აღადგინეს. გენერალმა გენო ადამიამ რომ რკინიგზის დაცვის საჯარისო ფორმირებები ჩამოაყალიბა, ჩვენს შტატში ირიცხებოდნენ. იარაღის ნაწილიც ჩვენ დავურიგეთ. წლეულს, აპრილიდან, ჩვენი რკინიგზის დაცვის ქვეგანაყოფი ეშერის ლაბორატორიასთან ახლოს მდებარე ხიდს იცავდა. აი სწორედ მაშინ წავიყვანე მამუკა, რომელიც გომბორში ჯარისკაცებთან ერთად ვარჯიშობდა.

სოხუმის ჰიდროელექტროსადგურს ვიცავდით. 39 კაცი ვიყავით. ექვს ივლისს აფხაზებმა ალყა შემოგვარტყეს. დილის ექვს საათზე ბრძოლა გაჩაღდა. პირველი დარტყმა გია ირემაშვილმა და სერგო ქსოვრელმა მიიღეს. მათ ბევრი მოწინააღმდეგე გაანადგურეს და გმირულად დაეცნენ. მათ გარდა, ასევე ვაჟკაცურად დადეს ბრძოლის ველზე თავი თამაზ ტორობელიძემ და თბილისელმა, რუსმა, ვლადიმერ დუბოვსკიმ. (სხვათაშორის, 9 აპრილის მიტინგის დამრბევ რუს ჯარისკაცებს შორის იდგა. შემდეგ სამაჩაბლოში იცავდა სეპარატისტების ინტერესებს. მოგვიანებით იგი მიხვდა, რომ აგრესორებს უჭერდა მხარს, ჩვენ შემოგვიერთდა და საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლას შეეწირა.

ბრძოლა უთანასწორო იყო. მტერი ჩვენზე მრავალრიცხოვანიც იყო და უკეთესადაც შეიარაღებული. ჩვენებს რაციით გადავეცი, რომ თვითმფრინავით მათთან ერთად ჩვენც დავებომბეთ, მაგრამ არ დაგვთანხმდნენ. იძულებული ვიყავით ტყვედ ჩავბარებულიყავით. ამ გადაწყვეტილების მიღებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ჩვენს შორის ჰესის დირექტორის მცირეწლოვანი ბავშვებიც იყვნენ.

შემთხვევით გავიგე ყაბარდოელი შოფრისგან, რომ ამ შეტაკების დროს მტერს 28 მებრძოლი დაეღუპა.

ცხადია, ძალიან მადარდებდა მამუკას ბედი. თუმცა ვვარაუდობდი, რომ პოლიტიკური მოსაზრებების გამო მას არაფერს დაუშავებდნენ. ასეც მოხდა. აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს პოლკოვნიკმა მითხრა, რომ მამუკას ის წაიყვანდა ოჯახში. გვიან გავიგე, რომ ეს საკითხი სესიაზე გადაუწყვეტიათ, თუმცა შემდეგ გადაიფიქრეს და მამუკა ერთ- [illegible] თი მებრძოლის ლაურცუმბას ოჯ[illegible] კადაიყვანეს. იქ მან ერთი კვირა [illegible] არბ და მოგეხსენებათ, აფხაზ[illegible] ოლ ჯინჯოლიაზე გადაცვალეს.

[illegible] ეგ მოხდა. მანამდე კი 34 [illegible] ეთაში წაიყვანეს. იმავე ღა- [illegible] სამ[illegible] ეოვო სამმართვე- [illegible] გაწუხებს, ნე-



მსი უნდა გაგიკეთოთო. გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ რას გავაწყობდი, ტყვე და მონა ერთია. ორი ამპულა გამიკეთეს. ერთი ვენაში, — მეორე კუნთში. თითქოს რაღაც ძლიერმ დამასხივა. მეჩვენებოდა რომ ნაწილებად ვიშლებოდი. ნებისმიერ საგნად შემეძლო გარდაქმნა. ნათურას ცოცხალ არსებად აღვიქვამდი. მეგონა ჯოჯოხეთში მოვხვდი. ენა დამება, ნებისყოფა წამერთვა. ვფიქრობ, მათ არ იცოდნენ ამ წამლის ეფექტურად გამოყენება. დაკითხვა მაშინ დამიწყეს, როდესაც თავს, ასე თუ ისე, ვაკონტროლებდი. მათ აინტერესებდათ შრომასთან და გუმისთასთან მისასვლელი გზები იყო თუ არა დანაღმული. უარყოფითი პასუხი გავეცი. ღამის პირველ საათზე ორი კაცი შემიდგა მხრებში და ისე გამომიყვანეს.

მოგვიანებით ისიც გავიგე, რომ ნემსები სამხედრო პროკურატურის დაჟინებული თხოვნით გამიკეთეს. ამის გამო სადაზვერვო სამსახურის უფროსმა კუპალბამ ბოდიში მომიხადა. მისი ბოდიში რომ არ გაგიკვირდეთ, გეტყვით, რომ იმ წამლის გამოყენება, როგორც ადამიანის წამების ერთ-ერთი უკიდურესი საშუალებისა, აკრძალულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით. რადგან იგი ადამიანს გარკვეული დროით თრგუნავს და გარკვეული დროით აპირუტყვებს. მათ არ უნდოდათ, რომ მე ეს გამეხმაურებინა.

მამუკას გვრდით კამერაში შემიყვანეს. ტყვეთა უმრავლესობა კი გუდაუთის გაუპტვახტებში გაანაწილეს.

ნემსის გაკეთების მეორე დღეს პრესკონფერენციაზე გამიყვანეს. ესწრებოდნენ მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი საინფორმაციო სააგენტოების წარმომადგენლები. პრესკონფერენცია როგორც მოსალოდნელი იყო ძირითადად აფხაზეთის ომს შეეხო. მკითხეს მამუკაზეც.

ერთ კვირაში მეც გადამიყვანეს გაუპტვახტში. აქ ყველას გეგმაზომიერად გვცემდნენ. ამ „საპატიო“ საქმეში მხოლოდ ომის მთავარი დირიჟორები რუსები არ მონაწილეობდნენ. ცემა-ტყეპა ხანდახან საგანგებო მიზეზებითაც ხდებოდა, როდესაც მათიანი იღუპებოდა. მაშინ განსაკუთრებით მხეცდებოდნენ. როგორც წესი კამერაში მუშტითა და წიხლით გვიმასპინძლდებოდნენ, გარეთ კი კონდახებით.

წამების ხერხები დროდადრო იხვეწებოდა. ერთხელ 30 კაცს ეფრემ ვერდის თითო ფურცელი შეგვაჭამეს. განსაკუთრებული ყურადღება ილო ჩინჩალაძის მიმართ გამოიჩინეს — ძალიან მსუქანი ხარ, თითო გვერდი რას გეყოფაო და დანარჩენი გვერდებიც მას შეაჭამეს.

**— ბატონო ზურაბ, თქვენს შორის ვინმემ ხომ არ მიჰყიდა სული ეშმაკს?**

— სამი კაცი გვყავდა გამყიდველი — ჩამშვები. მუცლის ამოსაყორად მტერს ემსახურებოდნენ. მათი მიზეზით კაცი რომ მოეკლათ არ ვაპატიებდით, მაგრამ ეხლა რაკი ყველა გადავრჩით. ღმერთმა განსაჯოს.

**— რას გჭმევდნენ?**

— ძირითადად ჰუმანიტარულ დახმარებას. ოთხი თვე ვჭამდით ისრაელიდან გამოგზავნილ ხუფს. ჩემი ფიგურის დახვეწაში, 104 კილო ვიყავი და 60-ზე ჩამოვედი, ამ სუპმა დიდი როლი ითამაშა. თუმცა არც ზედამხედველებს მინდა ამაგი დავუკარგო, დროდადრო კონდახებით რომ მიკეთებდნენ მასაჟებს.

განსაკუთრებით გამიჭირდა მილიციის იზოლატორში, სადაც სინათლე „კარმუშკის“ გაღების შემდეგ შემოდიოდა. თანაც მარტო ვიყავი. მხოლოდ ხუთ წუთს გვიღებდნენ კარებს. ამ დროს უნდა მოგვესწრო ყველაფერი. პროტესტი განვაცხადე, რომ ნათურა დაეკიდათ. ნათურისა რა მოგახსენოთ, ამის შემდეგ კალიდორში მომცეს უფლება გამოვსულიყავი. სხვათაშორის პირველად კამერაში რომ ჩამკეტეს შეცდომით დასაწყნარებლის მაგივრად გულის სტიმულატორი დავლიე. ისე ალმაგზნო კინაღამ გავგიჟდი. შინაგან საქმეთა მინისტრის არგბას ბრძანებით გამიღეს.

ჩვენი კამერები თავდაცვის სამინისტროს საწყობის სარდაფში მოეწყოთ გაგრაში აყვანილ ქართველ ტყვეებს.

**— ბატონო ზურაბ, აფხაზებს თუ ჰქონდათ თავისი სიმართლე, რომელიც სტიმულს აძლევდათ ბრძოლაში?**

— ტყვეობის ექვსი თვის განმავლობაში ჩვენი კამათი ძირითადად ამ კუთხით მიმდინარეობდა. ისინი სწორხაზოვნად მიმტკიცებდნენ — თქვენ საქართველოს ერთიანობისთვის იბრძვით, ჩვენ კი დამოუკიდებლობისთვისო, აფხაზეთი სხვაა და საქართველო სხვაო, ვერ ვიტყვი, რომ მათ უმრავლესობას რუსების სიყვარული აბოდებდათ. თვლიდნენ, რომ ჩვენგან „განთავისუფლება“ პირველი ეტაპი იქნებოდა, შემდეგ მათგანაც დაიხსნიდნენ თავს.

ჩვენსა და მათ შორის ნათესაური კავშირის გაგონებაც არ უნდოდათ. მე შემახვედრეს აფხაზი პოეტი პლატონ ბებია. მას, ვფიქრობ იმიტომ დავაინტერესდი, რომ ჩვენი იდეოლოგიის სუსტი მხარეები მოეძებნა.

შევლაპარაკდით აფხაზ მარეხუბას წიგნზე, სადაც ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ აფხაზები და ქართველები მხოლოდ გეოგრაფიული მეზობლები არიან. ეს მტკიცება ძირითადად გამაგრებული იყო ქართველ მეცნიერთა ანალოგიური ციტატებით.

პლატონს ვუთხარ, იმაზე რაღას იტყვით, რომ თქვენი გვარი სუფთა ქართულია მეთქი. დამეთანხმა, თუმცა იქვე განმიმარტა — ადრე სხვა გვარი მქონდა, ქართველებმა გადამიკეთესო. თუ რა გვარი ჰქონდა, ვერ დამისახელა.

ჩემს იქ ყოფნაში ქართველ-აფხაზურ გვარებთან დაკავშირებით საკმაოდ დრამატული შემთხვევა მოხდა. ტყვედ აყვანილ სოხუმელ ქართველ ქაჯაიას ზედამხედველად აფხაზი ქაჯაია დახვდა. მათი პოლემიკა გვარტომობაზე იმით დამთავრდა, რომ აფხაზმა ქაჯაიამ ცემით დაასხა თავის მოგვარე. მსგავსი შემთხვევები არაერთხელ მომხდარიყო. ზედამხედველთა უმრავლესობა მეგრულ გვარებს ატარებდა. მათი გამორჩევა იმითაც შეიძლებოდა, რომ სხვებთან შედარებით განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ.

ზემოთ პლატონ ბებიას ვიზიტზე ვილაპარაკე. ვიზიტები ამით არ დამთავრებულა — შინაგან საქმეთა მინისტრის ყველა მოადგილემ დამდო პატივი. განსაკუთრებით დამამახსოვრდა აფხაზთის რამკიანი ქურდის, პავლიკ არძინბას ვიზიტი. მისთვის თბილისელ ქურდს არსენ მიქელაძეს (იგი ამ რამდენიმე თვის წინ მოუკლავთ) ეთხოვა, როგორმე ჩემი განთავისუფლება მოეხერხებინა. აფხაზმა ქურდმა მითხრა, ყველაფერი ვიღონე, ჩემს მოგვარესთანაც კი ვიყავი, მაგრამ უარი მითხრესო. მიუხედავად ამისა, მისმა საუბარმა ერთგვარად დამამშვიდა.

ამ ვიზიტებს ხანდახან გართულებებიც მოყვებოდა ხოლმე. ერთხელ ყაბარდოელ ტელე-ჟურნალისტთან წარმადგინეს. მათ ტელევიზიას, თურმე დაგეგმილი ჰქონდა, რომ ქართველთა დამარცხება მაინც და მაინც მე მეღიარებინა — ჩემი პირით ეცნოთ მსოფლიოსთვის. ჩემს პასუხზე, რომ ეს საკითხი საბოლოოდ ჯერ არაა გადაწყვეტილი, ჟურნალისტი გაანჩხლდა, ლამის ცოფები გადმოჰყარა. ამ პატიოსანი კაცის გამწარება ეგრე არ უნდა და ზედამხედველმა შოუბამ სულ მუშტით დამითვალა ნეკნები.

ტყვეობის დროს მთავარი იცი რა არის? მოწინააღმდეგეს შენი სიმართლე დაანახო. ამის მიღწევა ხანდახან შეიძლებოდა. ზედამხედველებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც დამიდასტურეს, რომ ეს ომი რუსების მოწყობილი იყო. თუმცა ისიც ხდებოდა, რომ ამგვარ კამათში ჭეშმარიტების მაგივრად ცემა იბადებოდა. რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როდესაც ჩემს წინააღმდეგ რომ განეწყოთ ტყვეები — სცემდნენ. თქვენი უფროსის სიჯიუტის გამო გსჯითო. ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ ყოველივე ამას სარკმლიდან მაყურებინებდნენ.

ხანდახან ზედამხედველები დასალევადაც კი მეპატიჟებოდნენ. ამას მე იმით ვხსნი, რომ მათ შორის უმეტესობა ქართველი იყო და გენეტიკური სტუმართმოყვარეობის გრძნობა იღვიძებდა. ეს კია, რომ დალევაზე უარს ვაცხადებდი — სასმელს არ ვეტანები და ეგეც რომ არ ყოფილიყო სიმთვრალეში ვინ იცის რა მოხდებოდა.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ზედამხედველებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც შევარდნაძეს დიდი პატივისცემით იხსენებდნენ. დიდ პოლიტიკოსად თვლიდნენ. ეს ჩემთვის აღმოჩენა იყო, რადგან აფხაზები ომის დაწყებას შევარდნაძეს აბრალებდნენ.

ტყვეობაში ხდება ღირებულებათა გადაფასება. ადამიანს უმძაფრდება ანალიზის უნარი. მოკლედ თუ ვიტყვით, ტყვეობა საკუთარი თავის შეცნობის უებარი საშუალებაა.

ერთ მაგალითს გეტყვით, სექტემბერში ტყვეთა 15 კაციანი ჯგუფი უნდა გაცვლილიყო, მათ შორის მეც ვიყავი. ბოლო მომენტში აღმოჩნდა, რომ აქედან ხუთი კაცი ზედმეტი იყო. სამი კაცის საქმე წინასწარ იყო გარკვეული. მე და ორი სპეციალისტი უნდა დავრჩენილიყავით. რჩებოდა ორი კაცი. ამ დროს სამართლიანი იყო კენჭი გვეყარა, მაგრამ ეს პროცედურა აღარ დაგვჭირებია, ნუგზარ ირიაული და კახა კილაძე ულაპარაკოდ დარჩნენ.

**— ბატონო ზურაბ, სტალინი ტყვეობაში ნამყოფ მებრძოლებს, მოგეხსენებათ ციმბირში ასახლებდა. მადლობა ღმერთს ეხლა ამის შიში აღარ გვმუქრებათ..**

— დარწმუნებული ვარ, თქვენ ამას, ისე, სახვათაშორისოდ ამბობთ, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მთლად გადასახლებაზე არა, მაგრამ მაინც ფრთხილობენ, რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდეს. სიტუაცია ჩაწყნარდეს მერე მოვინახულებთო — ზოგიერთ ჩემს მეგობარ-ამხანაგს ვგულისხმობ.. ისინი გაყუჩებულები ელოდებიან საით დაუბერავს სიო დამაწინაურებენ თუ გამკიცხავენ, რომ ამის მიხედვით მოიქცნენ. ღმერთმა ქნას ვცდებოდე!

— ბატონო [illegible]
ტყვეობაში პიგუნას თუ ექცეოდა ყურა[illegible]
ლება?

— ექვსი თვის განმავლობაში მხ[illegible]
ლოდ ერთხელ მოიყვანეს სახანძრო მ[illegible]
ნქანა, შხაპის მაგივრად იმით გაწუ[illegible]
ყველა. ეგ იყო და ეგ. თუმცა დაბან[illegible]
რა მნიშვნელობა ჰქონდა, ლოგინი მ[illegible]
ბენარით იყო სავსე. დეზინფექცია[illegible]
არავის უფიქრია. ერთხელ წითე[illegible]
ჯვარმა მოიტანა წამალი, მაგრამ ბი[illegible]
ბმა ხმარება არ იცოდნენ ერთი-ორ[illegible]
მაინც წაისვა, მაგრამ დროზე ვერ მ[illegible]
შველეს წყალი და ისე აეწვათ სხეუ[illegible]
რომ გამწარებულები დარბოდნენ.

**— საინფორმაციო წყაროებიდან ვი[illegible]
რომ აფხაზებმა ორი ქართველი ტყვე არ[illegible]
ათავისუფლეს. ხომ არ იცით, რა იყო ამის[illegible]
ზეზი?**

— აფხაზებმა ორი კი არა, სამი ტ[illegible]
დატოვეს. სოხუმელი პროფესორი პა[illegible]
სკირი, გორელი გედენიძე, მესამის გ[illegible]
რი აღარ მახსოვს. აფხაზებმა ისინი[illegible]
შუშობაში დაადანაშაულეს და პო[illegible]
ტიკურ პატიმრად ჩათვალეს.

* * *

ჩემს იქ ყოფნაში მამულაშვილე[illegible]
სახლი, რომ მის პროფესიასთან ახლ[illegible]
ვიყვეთ, ძალიან დაემსგავსა რკინიგ[illegible]
სადგურს. რიგი გადიოდა და რიგიც[illegible]
მოდიოდა. სტუმრებს, მიმსვლელ-[illegible]
მსვლელს ბოლო არ უჩანდა. მათ შო[illegible]
იყვნენ ბატონ ზურაბთან ერთად ტყ[illegible]
ობაში ნამყოფებიც.

მათ ერთადერთი შეკითხვით მი[illegible]
რთე — ტყვეობაში ყველაზე მეტად[illegible]
დაგამახსოვრდათ მეთქი.

დავით მინდიაშვილი. (თამა[illegible]
შნელი) — ძნელია რომელიმე ერ[illegible]
გამოყოფა. მოდით რაც პირველად[illegible]
მივა თავში იმას ვიტყვი. ერთხელ სა[illegible]
თაშორისო წითელი ჯვრიდან მ[illegible]
დნენ, შევჩივლეთ — სიგარეტი არა[illegible]
ქვსო. ზედამხედველებმა მაშინვე და[illegible]
რიგეს სამ-სამი ღერი „ბელომორკ[illegible]
ლი“ ეს მომენტი მაშინვე აღბეჭდ[illegible]
ზეთ „კრასნაია ზვეზდას“ რეპორტ[illegible]
რმა. სურათს ახლდა წარწერა. „აფ[illegible]
ბოევიკები სიგარეტით უმასპინძლდ[illegible]
ან ქართველ ტყვეებს“.

პიაა დურგლიშვილი (ახალგო[illegible]
ლი) — ტყვეობიდან 18 აგვისტოს გ[illegible]
თავისუფლეს. წინა დღეს გვეწვია[illegible]
დელი მამა ბესარიონი, რომელმაც[illegible]
ლმუნები, ახალი აღთქმა და ნაკუ[illegible]
ჯვრები დაგვირიგა. წავიდა თუ არა,[illegible]
ხაზებმა რამდენიმეს მაშინვე წაარ[illegible]
ჯვრები და გადაყარეს.

კიდევ იცით რა მომაგონდა? ქა[illegible]
ტონმა მარიკამ, ბატონი ზურაბის[illegible]
ღლემ, რომ კექსი გამოგვიგზავნა. ა[illegible]
გემრიელი მანამდე არაფერი მეჭამ[illegible]
და ერთიც. გუმისთის ხიდზე რო[illegible]
ცვლიდნენ. ორმოცდაათს გადაც[illegible]
ბული აფხაზი ქალი ითხოვდა — ა[illegible]
მატი და ჰიქა მომიტანეთ, უნდა მო[illegible]
და მაგის სისხლი დავლიოო.

თამაზ ირემაშვილი (თბილ[illegible]
ლი) — აგვისტოს თვე იყო. აფხაზმ[illegible]
დამხედველმა დაურა აგუხბამ რამ[illegible]
მე ტყვეს დაგვიძახა. გვითხრა — გ[illegible]
შემეძინა „მაღარიჩი უნდა ვიკისრო[illegible]
დადით აგერ მეზობლად და ყანიდა[illegible]
მინდი მოიპარეთო. მისი დავალება[illegible]
შევასრულეთ „მაღარიჩად“ თითო[illegible]
თო ტარო დაგვირიგა.

საერთოდ კი, ერთი რამეც მინდ[illegible]
თხრათ. ბატონი ზურაბი რომ არ გ[illegible]
ლოდა გვერდით, შეიძლება ტყვე[illegible]
დან ვერავინ გამოვსულიყავით.[illegible]
გორც დათვი ბელებს ისე დაგვტრი[illegible]
ბდა თავს.

* * *

როგორც იქნა კრიჭაშეკრულ მ[illegible]
ლაშვილების ოჯახში ბედნიერებამ[illegible]
სადგურა. ოჯახის დიასახლისი ქა[illegible]
ტონი მარიკა მეცხრე ცაზე დაფრ[illegible]

— ხუთი საათი ველოდი აე[illegible]
რტში. თვითმფრინავიდან ყველა[illegible]
ვიდა. მაგრამ ზურაბი ვერ და[illegible]
უფრო სწორად ვერ ვიცანი. მამუ[illegible]
ნონა რომ შეაფრინდნენ მაშინ მი[illegible]
რომ ის იყო. ძველი ზურაბისაგან[illegible]
ლებილა დარჩენოდა. თანაც წ[illegible]
ჯვრის ნაჩუქარი ტანსაცმელი ეცვ[illegible]
ნაც დამაბნია. დღეს მე შეუდარე[illegible]
უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე ვი[illegible]

* * *

ღმერთო, საქართველოც ისე გ[illegible]
ლიანე და გააბედნიერე, როგო[illegible]
წუთს მამულაშვილების ოჯახია.

ჯემალ ქასრ[illegible]

# ერისკაცი

საქართველოს მძიმე დღეები უგას და იუბილეებისათვის აღარ სცალია. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ფართო საზოგადოებამ ვერ აღნიშნა თვით ისეთი ერისკაცის დაბადებიდან მე-100 წლისთავი, როგორიცაა ჰაიდარ აბაშიძე (1893-1966).

ჰაიდარ აბაშიძე აჭარის ის შვილია, ის ქართველი მოღვაწეა, ვინც ნამუსიანად ატარა ერისკაცის მძიმე ტვირთი და ღირსეულად მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს წინაშე. მის პიროვნებაში ქართული მსოფლმხედველობა თანდათანობით, საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ამას ადასტურებს მისი შესანიშნავი წერილი — „როდის გავიგე მე, რომ ქართველი ვარ" „თეატრი და ცხოვრება", (1915, № 26). გარკვეულწილად ამითაც უნდა იყოს განპირობებული, რომ ცხოვრების ძნელ გზაზე ჰაიდარ აბაშიძეს არ მოსვლია რაიმე შეცდომა ეროვნული ორიენტაციის თვალსაზრისით.

ჰაიდარ აბაშიძე უპირველესად პუბლიცისტია. მის თითქმის ყველა წერილში ჩანს წერის დიდი კულტურა, არის სიღრმე და ინტელიგენტურობა. არადა, როცა მან პირველი წერილი — „ხმა ქრისტიან ძმებს" „ბათუმის გაზეთი", (1913, №9) გამოაქვეყნა, ჯერ 20 წლისაც არ იყო და, ამასთან, ეს წერილი ერთგვარი მისეული პროგრამა და მოწოდება გახლდათ მომავალში ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს შორის ურთიერთობისა და ერთიანობისათვის.

რამენადაც ტაქტიანია — ჰაიდარ აბაშიძე თავის წერილებში, იმდენად პრინციპულია ქართველი ხალხის საჭირბოროტო საკითხების განსჯისას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მისი წერილები ისლამთან დაკავშირებით. ის ქართველ მაჰმადიანთა ინტერესების შეუპოვარი დამცველია, ყველგან და ყოველთვის მორწმუნე მუსლიმანთა ინტერესებს ითვალისწინებს და ანგარიშს უწევს. ამავე დროს ის მკაცრად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა მუსლიმანობის ნიშნით მაჰმადიანი ქართველები ქრისტიანი ქართველებისათვის დაეპირისპირებინა. ამისთანები კი იმ პერიოდში — გარდამავალ ხანაში, როცა სხვადასხვა ქვეყნები და სხვადასხვა ძალები იბრძოდნენ აჭარაზე გავლენის მოსაპოვებლად, მრავლად იყვნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით, თავისი პრინციპული პოზიციის გამო, ზოგჯერ პროვოკატორთა და ზოგჯერ უმეცართა „წყალობით", არა ერთი უსიამოვნების გადატანა მოუხდა მას.

ჰაიდარ აბაშიძეს მხედველობიდან არ გამორჩენია ის გარემოებაც, რომ ქართველ მუსლიმანთა პრობლემების მოგვარების საქმეში გვერდს ვერ აუვლი ვერც მეზობელ მუსლიმანურ ქვეყანას — თურქეთს და ვერც კავკასიელ მუსლიმანებს. ამ საკითხს მან სპეციალური წერილები მიუძღვნა.

შეიძლება ითქვას, რომ დღესაც მისაღებია ის პოზიცია, რაც ისლამთან დაკავშირებით ეკავა ჰაიდარ აბაშიძეს.

მისი შემოქმედების მთავარი თემა აჭარაა. არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მისი დროის აჭარის ცხოვრებაში, ის რომ არ გამოხმაურებოდა.

დიდი სიყვარული, სითბო და ღრმა ცოდნაა გამჟღავნებული ჰაიდარ აბაშიძის წერილებში, რომლებიც მიძღვნილია ჩვენი კლასიკოსების — ვაჟას, აკაკისა და ილიას დამოკიდებულებაზე აჭარასთან (ერთ მათგანს აქვე ვთავაზობთ მკითხველს). დასასრულს უნდა ითქვას, რომ ჰაიდარ აბაშიძე სწორედ ის ერისკაცია, ვისაც აჭარის სხვა სახელოვან შვილებთან ერთად განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გარდამავალ და მძიმე ხანაში აჭარის სწორ გზაზე დაყენების საქმეში. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ორი წლის წინათ ერთი მაჰმადიანი მესხის სინანულითა და ერთგვარი კეთილი შურით ნათქვამი: „ჩვენც რომ გვყოლოდა მაშინ ისეთი წინამძღოლები, როგორებიც ჰყავდა აჭარას მემედ აბაშიძის, გულო კაიკაციშვილის, ჰაიდარ აბაშიძისა და სხვების სახით, იქნებ არ აღმოვჩენილიყავით ასეთ მდგომარეობაში".

იქნებ, მართლაც ასე ყოფილიყო!

ჩვენ კი სხვა რა დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ, რაც არ უნდა გვიჭირდეს, უბრალოდ მაინც გამოვხატოთ მადლიერება სახელოვანი წინაპრების მიმართ, მათი სახელის მოსახსენიებელ დღეებში.

მიხეილ მახარაძე

# ილია და აჭარა

ჰაიდარ აბაშიძე

1877 წელს, დაახლოებით ერთი წლით ადრე, სანამ აჭარა დედა-სამშობლო საქართველოს დაუბრუნდებოდა, დიდი ილია წერდა: „უწარჩინებულესი მამანი, სალვთო-საერო თხუზულებათა მთარგმნელნი, სახელოვანი მწერალნი ჩვენნი ეხლანდელი ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ.

ჩვენი სახალხო „ვეფხისტყაოსნის" მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხარის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ ისხენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოველი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უხარია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელოვანი დროშა.

სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას...

მძლავრობამ, მუხთლობამ, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა გაგვაშორა ჩვენ — ძმები ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი".

საქართველოს გულ-მკერდს ცეცხლითა და მახვილით მოწყვეტილი აჭარის ტანჯვას მალე მოეღო ბოლო: 1878 წელს, თურქეთის მიერ საუკუნეების მანძილზე გაპარტახებული, მრავალტანჯული აჭარა შეუერთდა დედა-სამშობლოს.

ჩვენ ღრმად გვწამდა, რომ საქართველო არ დაკარგავდა თავის ღვიძლ შვილს — აჭარას. დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დავღვაროთ, ნუთუ ქართველი შეკრთება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა?"... ასეც მოხდა, თურქი მოძალადეებისაგან აჭარის გადასარჩენად მრავალჯერ დაიღვარა ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების სისხლი.

ახლად შემოერთებული ძმების პოლიტიკური და კულტურული გათვითცნობიერების საქმეს სათავეში ჩაუდგა დიდი ილია, რომელმაც თავის ირგვლივ შემოიკრიბა იმ დროის გამოჩენილი მოღვაწეები — სერგეი მესხი, იაკობ გოგებაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ცხვედაძე, პეტრე უმიკაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, დავით კლდიაშვილი, პეტრე მირიანაშვილი და სხვ...

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" ილია ჭავჭავაძის მეთაურობით 1881 წლის 23 მარტს ბათუმში გახსნა ქართული სკოლა და ჩვენი მტრების გულის მოსაკლავად „მედრესეების" გვერდით ამეტყველდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა"...

აჭარელთაგან ამ სკოლის ერთ-ერთი პირველი მოსწავლე იყო მემედ აბაშიძე, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც ფრიად დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს ამ კუთხის აღორძინების საქმეს.

მეც მქონდა ბედნიერება პირველი ნათლობა ამ სკოლაში მიმეღო. 1900 წლიდან, სხვა აჭარლებთან ერთად, მეც აქ ვსწავლობდი და დიდი ილიას ხელმძღვანელობით ამ სკოლაში მოღვაწე შესანიშნავი პედაგოგების შთაგონებით ვეზიარე პირველად იმ შეგნებას, რომ ჩვენ — აჭარლები, თათრები კი არა, ქართველები ვართ.

საუკუნეების განმავლობაში თურქეთის მიერ ფეხქვეშ გათელილ და დიდის ტკბილ ძუძუს მოწყვეტილ აჭარას პირველად ბათუმის ქართულმა სკოლამ გაუღვივა მშობლიური სიყვარულის ნაპერწკალი, რომლის შედეგადაც აჭარაში გაიშალა ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ბრძოლის დროშა.

ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით ბათუმში ქართული სკოლის გახსნა იმ დროისათვის დიდი მოვლენა იყო. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი გამოჩენილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ერთი უპირველესი, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეუდგა, იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათუმში. განზრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმაში, რომ ახლად შემოერთებულ მაჰმადიან ქართველთა შვილები მოეზიდა. გაემარჯვა ქართულს წერა-კითხვაში, მათი შუამავლობით შემდეგში გაევრცელებინა აჭარაში ქართული წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლთა ძმათა შორის, რომელნიც ულმობელმა ბედმა ერთმანეთს გაშორა წარსულ საუკუნეებში"...

ბათუმში სკოლის გახსნის საქმე დიდ სიძნელეებს აწყდებოდა და ამ საქმესთან დაკავშირებით ილია იქ ხშირად ჩადიოდა ხოლმე.

1880 წლის 21 დეკემბერს ილია ჭავჭავაძე დეპეშას უგზავნის ბათუმში ჩასულ მასწავლებელს, ალექსანდრე ნანეიშვილს და ავალებს მას — სასწრაფოდ აცნობოს, როდის იქნება სკოლა მზად, რომ იმ დროისათვის ბათუმში ჩავიდეს.

სკოლის სწავლის ქირა წელიწადში ექვსი მანეთი იყო. ილიას განკარგულებით მისგან თავისუფლდებოდნენ ქრისტიანი ქართველი ღარიბი მოწაფეები და რა ნივთიერი მდგომარეობაც არ უნდა ჰქონოდა, სწავლის ფულის გადასახადიდან განთავისუფლებული იყო ყველა ქართველი მაჰმადიანი მოწაფე. აი, ასეთი მშობლიური მზრუნველობით გვზრდიდნენ ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები და პედაგოგები, დიდი ილიას რჩევითა და მეთაურობით.

1895 წელს ბათუმის ქალაქის თავის არჩევნები იყო, იხსენებდა რა ამ ამბავს, აჭარის მოამაგე, ჩვენი საყვარელი და გამოჩენილი მწერალი დავით კლდიაშვილი თავის მოგონებებში წერდა: „საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას, სავარძელზე იჯდა და არჩევნების მსვლელობას ადევნებდა ამ შემთხვევისათვის თბილისიდან ჩამოსული ილია ჭავჭავაძე... ქალაქის არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი აღტაცება გამოიწვია, ქალაქის თავად ლუკა ასათიანის არჩევას ქართველობა დიდი აღტაცებით მიეგება".

ლუკა ასათიანი უაღრესად მოწინავე ადამიანი იყო და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს ქალაქის თავის არჩევნებში ასეთი შესანიშნავი კანდიდატის გამარჯვება იმანაც განაპირობა, რომ არჩევნებს ილია ესწრებოდა.

ახლად შემოერთებული ძმების კეთილდღეობისათვის დაულალავმა ბრძოლამ ილიას მრავალი თაყვანისმცემელი შესძინა აჭარაში; მათ შორის გულო კაიკაციშვილი, ხუსეინ ბეჟანიძე, დედე ნიჟარაძე, შავშეთიდან — ნური ხიმშიაშვილი, ბათუმელი აბაშიძეები და სხვ.

საარქივო მასალებში დაცულია მრავალი საინტერესო დოკუმენტი, რომლებიც მეტყველებენ, თუ რაოდენ დიდი გავლენა ჰქონდა ილიას აჭარაში. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იმ დროს გულო კაიკაციშვილმა და დედე ნიჟარაძემ თავიანთი ვაჟები გაგზავნეს თბილისში, ქართულ გიმნაზიაში სასწავლებლად და არ შეუშინდნენ იმას — „შვილები გაგვიქრისტიანდებაო".

1958 წელს თბილისში გამოცემულ გ. ნიორაძის წიგნში — „პირველი ქართული სკოლა ბათუმში" ვკითხულობთ: „ბათუმის სკოლის მასალებში დაცულია 1882 წლის 21 მარტს ქართულ ენაზე დაწერილი წერილი ნური ხიმშიაშვილისა, გაგზავნილი ილია ჭავჭავაძისადმი. წერილის ავტორი აცნობებს ილიას, რომ იგი სტოვებს ბათუმს, მიდის შავშეთში, თავის მამულში საცხოვრებლად და სთხოვს ილიას შუამდგომლობას წერა-კითხვის საზოგადოების წინაშე, რათა შავშეთში გაგვიხსნან სკოლა ქართულ [illegible], რომ ჩვენმა შვილებმა დედა [illegible] წავლონო...

„თუ ასეთი სკოლა გაიხსნება [illegible] საზოგადოების გამგეობამ მხოლოდ [illegible] სწავლებლის ჯამაგირი იკისროს [illegible] ნარჩენს მე თვითონ ვკისრულობ. სკოლის სახლის და ბინას მასწავლე[illegible] სათვის მუქთად მივცემ და [illegible] სწავლულს შევკრებ სკოლაში[illegible]

საარქივო მასალებში აგრეთვე [illegible] ცულია დოკუმენტები, რომ[illegible] აბაშიძეებსაც ახლო ურთიე[illegible] ქონიათ ილიასთან.

იმ დროის ბათუმის აბაშიძე[illegible] რისი თაობიდან დარჩენ[illegible] მე ძმა: ხუსეინი, სალ[illegible] გიმი. მათ შორის უფროსი [illegible] ხუსეინი. იგი იყო ბათუმის [illegible] თა ოჯახების მეთაური [illegible] ვანელი, როგორც მათ [illegible] სი ძმა.

გ. ნიორაძის ზემოხსენებულ წიგნში ვკითხულობთ, რომ როცა [illegible] თვის საკუთარი შენობის აგება [illegible] წის ნაკვეთის შოვნის საქმე გართულებულა. ხუსეინ აბაშიძეს 1887 [illegible] 27 აპრილს სპეციალური ბარათი გა[illegible] უგზავნია ილია ჭავჭავაძისათვის და შეუტყობინებია — „ჩემი მამულიდან მიწას შევწირავ ბათუმის სკოლის ასაგებადო.

იქვე წიგნში გ. ნიორაძე წერს: „სკოლის გახსნაზე ბათუმში ჩამოსული ილია ჭავჭავაძე სპეციალურ თათბირს აწყობს ნური ხიმშიაშვილის სახლში — ხუსეინ ბაშიძის, ხუსეინ ბეჟანიძის და ბათუმის „უნასტკის" უფროსის, გაბუნიას თანდასწრებით".

შემდეგ გ. ნიორაძე განაგრძობს: „1881 წლის 8 მაისის ცნობით, ე. ი. ილია ჭავჭავაძის მიერ მოწყობილი თათბირიდან და ბათუმის სკოლის გახსნიდან ერთნახევარი თვის შემდეგ, სკოლაში ირიცხებოდა 28 მოწაფე, მათ შორის 11 აჭარელი. საარქივო მასალებში დაცულია ამ მოწაფეთა სახელობითი სიებიც. აჭარელ მოსწავლეთა შორის 8 ბაშიძეა, რომელთაგან ერთი ქალია — ულიე აბაშიძე".

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძესთან თათბირის შემდეგ, ხუსეინ აბაშიძეს, როგორც ბათუმის აბაშიძეთა ოჯახების უფროს ძმას, თავის შვილებთან და ძმების შვილებთან ერთად მშობლიურ ქართულ სკოლაში გაუგზავნია თავისი ქალიშვილი ულიეც.

იმ დროს აჭარელი ქალის გაგზავნა სკოლაში წარმოუდგენელი მოვლენა იყო, მითუმეტეს „გიაურების" სკოლაში.

აქედან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი პატივისცემითა და უზომო სიყვარულით სარგებლობდა დიდი ილია აჭარაში.

ილიას ვერაგულად მოკვლის საშინელი ამბავმა აღაშფოთა მთელი აჭარა. ამ მძიმე მწუხარებასთან დაკავშირებით მემედ აბაშიძის მიერ გამოცემულ ლექციაში ვკითხულობთ: „ქართველი მაჰმადიანები, აღშფოთებულნი [illegible] შემთხვევით და საზოგადო [illegible] ილია ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობით, მონაწილენი არიან მთელი ქართველობის ეროვნული მწუხარებისა".

ილია და აკაკი — ეს ორი გოლიათი, რომელთაც ფიქრი და აზრი [illegible] მთელი საქართველოს და [illegible] შესანიშნავ კუთხეს — აჭარას. [illegible] მუდამ [illegible] და ღრმად [illegible] დედა-საქართველოსთან შეერთებული აჭარის დიდი მოსავალი [illegible] აჭარის პატრიოტული [illegible] ქართველი ხალხის მოწინავე შვილების ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძოდნენ ქართველი ხალხის ერთიანობისა და მისი მთლიანობისათვის...

წერილი იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

# აფხაზეთის ტრაგედიის ზოგიერთი საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტი

სოხუმის ოკუპაციის შემდეგ მთელი მსოფლიოს წამყვანმა საინფორმაციო წყაროებმა დააფიქსირეს, რომ ეს მხოლოდ რუსეთის შეიარაღებული აგრესიის შედეგად გახდა შესაძლებელი. საკმარისია გადავშალოთ იმ დღეების დასავლეთის უდიდესი ჟურნალ-გაზეთები და დავინახავთ,, რომ რუსეთის როლი აფხაზეთში არა მხოლოდ საიდუმლოს არ წარმოადგენდა, არამედ მან დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის და პოლიტიკოსების საკმაოდ გამოხატული შეშფოთება გამოიწვია.

მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი მხრიდან არ იყო დასმული საერთაშორისო ორგანიზაციებში რუსეთის როლის საკითხი, მისი განხილვის ნაცვლად გაეროს უშიშროების საბჭომ მთელი ყურადღება აფხაზურ მხარეზე გადაიტანა, თავისი 88-ე რეზოლუციით დაგმო ამ მხარის მიერ სოჭის ხელშეკრულების დარღვევა და დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რაც ჩვენს სასარგებლოდ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

იგივე რეზოლუცია ითვალისწინებდა აფხაზეთში ადამიანის უფლებების შემსწავლელი მისიის გამოგზავნას. გაეროს მისია, რომელსაც ასე ველოდით, საქართველოს ნოემბერში ეწვია, მაგრამ ნიუ-იორკში გამოქვეყნებულმა მისი მუშაობის შედეგების ამსახველმა მოხსენებამ არ შეიძლება განცვიფრება არ გამოიწვიოს.

აქ, ამ მოხსენებაში, ადამიანის უფლებების დარღვევაში დადანაშაულებული არიან როგორც აფხაზები, ასევე ქართველები, მაგრამ თუ ქართველების შემთხვევაში ბრალდება უბრალოდ ოფიციალურ სამხედრო ფორმირებებს ეხება, აფხაზებთან მიმართებაში დაგმობილია მხოლოდ არარეგულარული რაზმების მოქმედება. ხოლო არძინბას ძირითადი სამხედრო ფორმირებები ლამის ქართული მოსახლეობის მხსნელ ანგელოზებად გვევლინებიან, რითაც ფაქტობრივად არძინბას მთავრობას პასუხისმგებლობა ეხსნება და მხოლოდ გარკვეული უმოქმედობისათვის ეთქმის საყვედური.

მოხსენებაში არსებითად უარყოფილია ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტი. სამაგიეროდ ძალზე ბევრია ნათქვამი აფხაზური მხარის დაპირებებზე დაიცვას ადამიანის უფლებები ეროვნების დამოუკიდებლად.

მოხსენების ისტორიულ ნაწილში აღნიშნულია, რომ აფხაზეთი ოდითგანვე აფხაზთა სამშობლო იყო, ხოლო ქართველები აქ საერთოდ არ არიან ნახსენები. არაფერია ნათქვამი არძინბას დაჯგუფების მიერ მოსკოვის და სოჭის ხელშეკრულებათა დარღვევაზე.

იმის გამო, რომ გაეროს მისიამ თავისი დასკვნები ძირითადად საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების და არძინბას მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრებს დააფუძნა, უნდა ვიფიქროთ, რომ მისიის მოხსენების ტენდენციურობა ნაწილობრივ ქართული მხარის მიერ არასაკმარისი ან არადამაჯერებელი მასალის მიწოდებითაც აიხსნება. და მაინც, უშიშროების საბჭოს რეზოლუციისა და ფაქტების დამდგენი მისიის დასკვნებს შორის მკვეთრი კონტრასტის ერთ-ერთ მიზეზად განვლილ პერიოდში თუმცა რთული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მაგრამ ჩვენი პოზიციის ერთგვარი ცვალებადობა მესახება.

რა მოგვიტანა ამ კურსმა საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით?

ნებისმიერი იურისტისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების კვალიფიკაცია, როგორც ერთი სახელმწიფოს, კერძოდ, რუსეთის აგრესია, მიმართული მეორე სახელმწიფოს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. აქ იგულისხმება როგორც აქტიური, ასევე პასიური პასუხისმგებლობა, თუნდაც არარეგულარული შეიარაღებული რაზმების შემოჭრა რუსეთის ტერიტორიიდან და მათ მიერ რუსეთის საზღვრის დაუბრკოლებელი გადალახვა. ერთი წუთით დაუშვათ, რომ ქართულ ქალაქებს რუსული თვითმფრინავები არ ბომბავდნენ. უკვე ის ფაქტი, რომ ეს „უცნობი“ წარმოშობის თვითმფრინავები სისტემატურად დაუსჯელად კვეთდნენ რუსეთის საჰაერო დაცვის ზოლს, უკვე საკმარისია ამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასაფიქსირებლად. თვით რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებით რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება ბოლომდე ვერ აკონტროლებს ზოგიერთი საკუთარი სამხედრო შენაერთის მოქმედებას და ამგვარად იხსნის პასუხისმგებლობას. აღნიშნულ არგუმენტს გარკვეული პოლიტიკური წონა შეიძლება გააჩნდეს, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით, იგი სრულიად უბადრუკად გამოიყურება. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თანახმად ოფიციალური შეიარაღებული ძალების თუნდაც მცირე კონტინგენტის მოქმედება კვალიფიცირდება როგორც შეიარაღებული აგრესია.

საქართველოს უკვე დიდი ხნის წინ ჰქონდა დაგროვილი საკმარისი მასალები იმისათვის, რომ რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი აღეძრა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ამ რამდენიმე წლის წინ ნიკარაგუას სარჩელმა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ დიდი ხნით დაუკარგა ამ უკანასკნელს ნიკარაგუას ტერიტორიული წყლების დანაღმვის მადა. მე პროსაბჭოთა ნიკარაგუას საქართველოს როდი ვადარებ, მით უმეტეს, რომ ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალები ბევრად აღემატება ნიკარაგუას ნივთიერ მტკიცებებს ამერიკის წინააღმდეგ. მაგრამ ეს მაგალითი მხოლოდ იმის საჩვენებლად მოვიყვანე, რომ დღევანდელ მსოფლიოში გამონათქვამი „დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი“ საბედნიეროდ ყოველთვის არ დასტურდება.

საქართველოს მხრივ საერთაშორისო ორგანიზაციებში რუსეთის როგორც კონფლიქტის მხარის დაფიქსირება ქმნიდა სამართლებრივ საფუძველს წინასწარვე უკანონოდ გამოცხადებულიყო ნებისმიერი ტერიტორიული ცვლილებები. ამასთანავე ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ აქტიურ მოქმედებას, არამედ სიტყვიერ განცხადებებსაც. ასე, მაგალითად, ექს-პრეზიდენტის მომხრეების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთი აღკვეთავდა ქართულ-აფხაზური შეიარაღებული ბრძოლის განახლების ნებისმიერ მცდელობას, ე.ი. საქართველოს ერთიანობის აღდგენისაკენ მიმართულ მოქმედებას. ეს განცხადება სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინააღმდეგ მიმართული მუქარა და საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით საკმარისია, რომ უკანონოდ გამოცხადდეს ნებისმიერი ტერიტორიული ცვლილება ახლაც და მომავალშიც.

რუსეთის ჭეშმარიტი როლის შეუფასებლობას ლოგიკურად მოყვება კონფლიქტის მეორე მხარედ არძინბას დაჯგუფების დაფიქსირება. ის, რაც ავტორიტეტული დასავლელი დამკვირვებლების აზრით არარეალურად გამოიყურებოდა, ჩვენი მხარის პასიურობის შედეგად სინამდვილედ იქცა. არძინბას დაჯგუფებამ მიიღო გარკვეული საერთაშორისო სტატუსი და ამ სტატუსიდან გამომდინარე, მთელი რიგი პრივილეგიები. ის ფაქტი, რომ გაეროს გენერალური მდივანი წერილებს უშუალოდ არძინბას უგზავნის, ამ უკანასკნელს დიდ მორალურ კმაყოფილებას უნდა ანიჭებდეს. უფრო სერიოზული კი ის არის, რომ ახლა აფხაზებს პრეტენზია აქვთ იმაზე, რომ ისინი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას წარმოადგენენ. რასაც საერთაშორისო სამართლის მიხედვით ჩვენთვის არასასურველი შედეგები მოყვება. თუ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაქირავებული რაზმების და ადგილობრივი ტერორისტების მოქმედების შემთხვევაში ყველა სხვა სახელმწიფოსათვის არსებობს ვალდებულება დაეხმაროს ოფიციალურ ხელისუფლებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს, როცა იგი კონფლიქტის მხარედ იქცევა, სხვა სახელმწიფოები ვალდებული არიან ან თავი შეიკავონ ჩარევისაგან, ან თანაბრად ორივე მხარეს დაეხმარონ. სხვათა შორის ამას აქტუალურად იყენებდა რუსეთი საკუთარი ვითომდა ნეიტრალური პოზიციის გასამართლებლად. მოძრაობის ლიდერები ასეთ დროს გარკვეულ ხელშეუხებელ სტატუსს იძენენ.

თუ არძინბას დაჯგუფება დიდი ხნის განმავლობაში განახორციელებს თავის შეუზღუდავ სუვერენიტეტს აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუნდაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების პირობად, ამ შემთხვევაში იგი სერიოზულ არგუმენტს იძენს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, ვინაიდან საერთაშორისო სამართალში ფაქტობრივად სამოქალაქო პრინციპი მოქმედებს, რომ ხანგრძლივი თუნდაც უკანონო ფლობის შემთხვევაში უკანონო მფლობელი თანდათან კანონიერ სტატუსს იძენს. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ფლობის უკანონობის მუდმივი დაფიქსირება გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. 1991 წლის სექტემბერში ევროთათბირმა აშშ-ს მაშინდელი სახელმწიფო მდივნის ბეიკერის რეკომენდაციით მიიღო ახალ სახელმწიფოთა ცნობისათვის საჭირო დამატებითი კრიტერიუმები, რომელთაგანაც უმთავრესი როლი ამ ახალი ერთეულების მიერ ადამიანის უფლებათა აღიარებას და დაცვას ენიჭება. გაეროს ფაქტების დამდგენი ზემოხსენებული მისიის დასკვნები ამ მხრივ სწორედ აფხაზთა წისქვილზე ასხამს წყალს.

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს შორის მიმდინარე დისკუსიები დამშვიდების საბაბს მაინცდამაინც არ გვაძლევს. ზოგიერთი იურისტი მხარს უჭერს ფაქტობრივად გამოყოფილი ტერიტორიების იურიდიულ ცნობას. ეს ერთი შეხედვით კეთილშობილური მოტივებით არის ნაკარნახევი: თუ, ვთქვათ, აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლება უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს, შეიძლება თუ არა მოეთხოვოს პასუხი თბილისს, რომელიც ვერ ფლობს სიტუაციას აფხაზეთში? ხომ არ სჯობს მოხდეს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და უკვე შემდეგ მოეთხოვოს პასუხი აფხაზეთს, როგორც საერთაშორისო ვალდებულებების სრულუფლებიან სუბიექტს? ამერიკული სამართლებრივი დოქტრინა ჯეფერსონის დროიდან მოყოლებული სიმპათიით ეკიდება შეიარაღებული ბრძოლის შედეგად მოპოვებულ დამოუკიდებლობას. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ ამერიკელ საერთაშორისო სამართალმცოდნეს ლუის ჰენკინს მიაჩნია, რომ „ამერიკული დოქტრინა ძირითადად ეფუძნება რეალობას და იმას, არის თუ არა ახალი ერთეული სახელმწიფო ფაქტობრივად, და არა იმას, ეთანხმება თუ არა მის არსებობას ის სახელმწიფო, რომლიდანაც გამოყოფას ცდილობს ეს ერთეული. მაგრამ ამავე დოქტრინის თანახმად, თუ საომარი მოქმედებები ჯერ კიდევ გრძელდება, სეპარატისტების ცნობა უტოლდება კონფლიქტში ჩარევას“ ლ. ჰენკინი. საერთაშორისო სამართალი. ნიუ-იორკი. 1993).

რა უნდა მოიმოქმედოს საქართველომ ამგვარ სიტუაციაში?

პირველი, ჩვენ უნდა მივხვდეთ, რომ ვერცერთი სხვა სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია ვერ გააკეთებს ჩვენს გასაკეთებელ საქმეს და ამ ორგანიზაციებზე მთელი იმედების დამყარება საკუთარი უმოქმედობის პირობებში შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს.

მეორე, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მართალია არძინბამ ჯერჯერობით აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ იგი ინტენსიურად არ ამზადებს საქართველოდან გამოყოფის სამართლებრივ, პოლიტიკურ და სამხედრო საფუძველს.

მესამე, უნდა შეწყვიტოს ჩვენმა პრესამ ექიმბაშური შელოცვები და შეგნებული და უნებლიე დეზინფორმაცია, რომელსაც ჩვენვე ვწერთ, ჩვენვე ვკითხულობთ და რეალურად დავინახოთ ჩვენი მდგომარეობა დღევანდელ მსოფლიოში.

მეოთხე, აუცილებელია ყოველდღიური დიპლომატიური აქტიურობა, რათა მსოფლიომ გააცნობიეროს ჩვენში სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობა. უნდა დაფიქსირდეს კონფლიქტური სიტუაციის არსებობა, რაც სულაც არ ნიშნავს ომის წარმოებას.

მეხუთე, საჭიროა თავი მოეყაროს სხვა სახელმწიფოების ჩვენს საქმეებში ჩარევის დოკუმენტურ მასალებს, მათი საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო სასამართლოში გამოყენების მიზნით.

დღეს მხოლოდ რეალიზმმა და უნარიანმა მუშაობამ შეიძლება გადაგვარჩინოს.

მიხეილ სააკაშვილი.
ნიუ-იორკი კოლუმბიის უნივერსიტეტი
1993 წ. 10 დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხოლოდ საქართველოზე და მხოლოდ სიყვარულზე

## ჯანო ჯანელიძე

ნაწილი ამ ლექსებისა ორი-სამიოდე წლის წინათ დაიწერა და ბევრი რამ ისეთი არის თქმული და გამხელილი, რისთვისაც მაშინ თითქოსდა არავითარი საფუძველი არ არსებობდა. როგორც ჩანს, პოეტის ფიქრი და ტკივილი კვირტსა ჰგავს, რომელიც სადღაც სხეულშია ჩასახული და შემდეგ, გვიან ჭრილობასავით იხსნება და იფოთლება. ნაწილი ამ ლექსებისა კი ახლახან დაიწერა და სრულიად თავისუფალია იმ მწუხარე საბურველისაგან, რომელიც ომის ტრაგედიამ მოგვიტანა. ეტყობა, ცხოვრება სულ სხვა რამ არის და პოეზია — სულ სხვა რამ.

### სიტყვა

გვირგვინოსანო, ასე რად სწუხარ,
მითხარ, ჯვრით მხრებზე საითკენ
ილტვი?!.
გაცემულია საუნჯე უხვად,
არა ოქროთი, არამედ სიტყვით.
პოეტო, მართლაც არის ამაო,
ყოფნა-არყოფნის ჟამს თუ დამუნჯდი,
გაძარცულია მაშინ სალარო
უძვირფასესი ქვეყნის საუნჯის.
ახლაც ვიძახი და ადრეც მითქვამს,
თუნდ ჟამი დადგეს მეორედ მოსვლის,
პირველი მაინც იქნება სიტყვა
და არა ჩარჩის, არამედ მგოსნის.

14.08.90 წელი.
განთიადი.

### სიბერე

ასეთი არის სევდა მგოსნური,
გააქვს წკრიალი ცარიელ ჭიქებს,
თოფის გრიალით აქეთ მოსული,
ბელტის ხმაურით მიდიხარ იქეთ.
წარმავალია მართლაც ყოველი,
ჭეშმარიტია გოდება შენი
და ჰგავს სიბერე იმ ნავს, რომელიც
იძირება და ვერაფერს შველი.

4.08.90 წელი.
განთიადი

### დასასრულის დასაწყისი

რა მკაცრი არის მაინც განგება!..
და გზას გავცქერი სისხლისგან
ფერილს,
უკვე დაკარგეს აზრი საგნებმა
და ფრთებმა კიდევ — უნარი ფრენის.
მზე ალმავალი ვხედავ, სულს ლაფავს,
ხელში მტრედივით მაკვდება ნისლი
და ახლად გაჭრილს დავცქერი
საფლავს,
როგორც დასასრულს იმ დასაწყისის.

11.08.90 წ.
განთიადი

### რიჩარდ მესამე

მალხაზ ხულორდავას

რა მარჯვედ გასცა ბედის საცერმა?!.
მეც ავყოლივარ ამ გიჟურ როკვას,
ორგულს — დიდება, ერთგულს —
დაცემა,
დე, მოსაკლავი დროულად მოვკლათ.
და სხვა წყალობას კიდევ ვინ
მოთვლის,
ღმერთო, რას გთხოვ და, ღმერთო, რას
გვედრი?!.
ქალი — მეძავი და კაცი — ლოთი, —
აი, განმგები მამულის ბედის.
მეც შესაფერით დამდალეს დალით,
მაინც რამდენი ერთად ნიღაბი?!.
და გამარჯვების ბდღვიალებს ჭალი,
როგორც სიმბოლო დიდი სიყალბის.
ქვეყნის მასხარას, ვით მეფეს ვხვდები
და მონურ კრძალვით მეც მივესალმე,
სახით მახინჯით, მოხრილი მხრებით
ისევ ზეიმობს რიჩარდ მესამე.
დაფნის გვირგვინი ბითურს და
თახსირს,
მე კი — მახვილი თავზე დამოკლეს,
ცოტაც მოთმენა და, ვითარც ნახირს,
ჩვენც გაგვრეკავენ სასაკლაოსკენ.

14.08.90 წელი.
განთიადი

### უკვე დასრულდა

წინ სიზმარეთის ვრცელი ველია,
შეუცნობელი ისე, ვით მითი,
უკვე დასრულდა, აღარ მელიან
და უკანასკნელს მე წამებს ვითვლი.
მორჩა, არასდროს ის არ შემოვა
სახლში, რომელსაც ათოვს და აწვიმს
და არ მაჩუქებს უდარდელობას
და სურნელებას დაკრეფილ მარწყვის.
და წინ ამხმარი მხოლოდ ველია,
ჰა გზა საჩემო ჩათავდა კიდეც,
არავის ველი, არც მე მელიან
და ჩანგს მდუმარეს კედელზე ვკიდებ.

15.08.90 წელი.
განთიადი

### სტუმარი

თითქოს ირემმა წამოიბღავლა,
რომელსაც თვალწინ მოუკლეს დედა,
ათქვეფილია განუკითხავად
სისხლი და ცრემლი, ღვინო და სევდა.
და მაინც ვმღერი, ბერი კაცი ვარ,
ბერი კაცი და ნუღარ მომკლავ...
და გავცქერ ბილიკს სისხლით
ნაწვიმარს,
განწირულ გველის ვით ბოლო როკვას.
თითქოსდა მკერდზე მანთებენ კოცონს,
ვერ იქნა, ველარ გაველ ლელიანს,
ო, მე სიკვდილი ისეთი მომწონს,
რომლის სტუმრობას არც კი ელიან.
და მე ვიხსენებ ხშირად იმ ხანას,
როდესაც ბედი კვალდაკვალ მდევდა,
დღეს ათქვეფილა განუკითხავად
სისხლი და ცრემლი, ღვინო და სევდა.

21.08.90 წელი
განთიადი

### ძვირფასი შენაძენი

აჩეხილია ყრმობის ყანები,
გუშინ მკერდზე რომ ამოჯეჯილდნენ,
ვინ იგალობოს მზის აყვავებით
საბედისწერო გზაჯვარედინზე?!.
გახუნდა ბაგე ქცეული ფიცად,
თოვლივით გალხვა მხურვალე მკერდი
და მიწად იქცა
და მიწად იქცა
სხეული, გუშინ რომ მეწვა გვერდით.
ისევ რისი მწამს და რისი მჯერა?!.
სუყველაფერი დაჰყვა დაღმართებს,
მარადიული არის სიმღერა
და მხოლოდ იგი თუ გამამართლებს.
გახუნებულა დიდების დაფნაც,
დაიმსხვრა ყველა ძეგლი დიადი,
თვალდაშრეტილი დავცქერი საფლავს,
აბა, ღმერთამდე, მითხარ ვინ ადის?!.
აბა, ღმერთამდე, მითხარ ვინ ავა?!
რასაც კი ვხედავთ, ყოფილა ფარსი,
ჰა, წუთისოფლის დაჰბერა ქარმა,
რომ მარადისის გავიგოთ ფასი.
ეს გაქროლებაც ბოლოა ალბათ,
მზეს ჩემსას შავად ვინ აფერადებს?!.
და დავცქერ საფლავს
და დავცქერ საფლავს
ჩემთვის ყველაზე ძვირფას შენაძენს.

21.08.90 წელი
განთიადი

### უკვე ჟამია გამოთხოვების

ცამ გადიყარა ღრუბლები თეთრი
და ნათობს მთვარის ქათქათა მუხლი,
ღიმილი მუდამ არ ნიშნავს კეთილს
და ცრემლი მუდამ არ ნიშნავს
წუხილს.
ცა ცისარტყელას იმშვენებს ფერადს
და ნატერფალი ატყვია ქვიშას,
ფრთები ყოველთვის არ ნიშნავს
ფრენას
და ცა ყოველთვის სივრცეს არ
ნიშნავს.
ეს გამგზავრებაც შენ რატომ
გიკვირს?!.
უკვე ჟამია გამოთხოვების,
წასვლა ყოველთვის არ ნიშნავს
სიკვდილს
და დგას დუმილი ყრუ ბეთხოვენის.

14.09.90 წელი
ლებარდე

### ... და დაეშვა ფარდა

ქ. გ-ს

ჰა, ეს გათამაშებაც
და დაეშვა ფარდა...
...არაფერი არ რჩება
ჭრილობების გარდა!..
შემდეგ ჟამის ხელით
ისიც გადაიშლება...
ისევ სულ სხვა ველი
და სხვა ვარდი იშლება.
არაფერი, არაფერი
[illegible] ამ ჩემს ტკივილს,
სულ ამაოდ ვმღერი,
სულ ამაოდ ვტირი!..
ვხედავ, აგერ ქარი წყვეტს
ნარცისს, როგორც პრინცი,
სულ ამაოდ გავცრიცე
ბაგე ცხელი ფიცით.
ისევ გადაინისლა
ეს მინდორი ვრცელი,
ისევ წვეთავს თილისმა, —
ცვარი — შენი ცრემლი.
ჰა, ეს გათამაშებაც
და დაეშვა ფარდა...
...არაფერი არ რჩება
ტკივილების გარდა!

29.11.92 წელი.
სოხუმი

* * *

ჩამოჰკარ ჩანგის,
ჩამოჰკარ ჩანგის,
ჩამოჰკარ ჩანგის სიმებს მდუმარეს,
თუ გინდა გემო გაიგო ბაგის,
ბაგის, ფერფლად რომ გაქცევს
უმალვე.
ბაგის, რომელსაც ფერი აქვს ლალის
და ცისარტყელას შვენის ალება,
ბაგის, რომელიც ტკივილიც არის,
სიკვდილიც არის და უკვდავებაც.

5.12.93 წელი
თბილისი

### თეთრი ქარები

თემურ შაშიაშვილს,
ქ. ქუთაისის მერს

მე რომ მეცხოვრა ამ შენს ქალაქში,
ქალაქში, სადაც შენ ხარ მეუფე,
ქალაქში, სადაც თამაშ-თამაშით
ქარიც მბრძანებლობს და სიმს
ხელუხლებს
აჟღერებს, როგორც დიდების მაჟორს,
და ერეკება ფოთლებს ფეთიანს,
ჰო, ამ ქალაქში სიცოცხლეს რა
სჯობს,
მაგრამ სიკვდილი უფრო მეტია.
უფრო მეტია, რადგანაც იცი,
თუ რისთვის ცხოვრობ და რისთვის
კვდები,
როცა მთვარესთან შეკრული ფიცით,
გელათისაკენ მიიწევ ფრთებით,
მიიწევ ფრთებით და, ვით იმედი,
მიგაცილებენ თეთრი ქარები
და აწყვეტილი მკერდზე ლილებით
შემდეგ თავდალმა მიექანები.
რომ ეზიარო რიონის ტალღებს
და გაჰყვე ზღვისკენ, როგორც
ფრთაწყვეტილი,
შემდეგ ფაზისის კარიბჭეს ალებ,
როგორც სიცოცხლის დიდი ნაწილი.
და ეშურები ისევ კუტაისს
(ასეთი არის წარსული მისი)
და მღერი ისე, ისე გულღიად,
ვით მამულისთვის დაღვრილი
სისხლი.

29.11.93 წელი
თბილისი

რეზო შავიშვილი:

# 109 მილიარდიდან დანიშნულებისათვის ე. ი. პროდუქციის შემოსატანად გამოყენებული იყო მხოლოდ 8 მილიარდი



**— ბატონო რეზო, რა მასალებია მოკვლეული კონტროლის პალატის მიერ ეროვნული ბანკიდან გატანილი კრედიტების შესახებ?**

— კონტროლის პალატა სწავლობდა ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. განსაკუთრებით გამოყოფილი იყო ასეთი მიმართულება — რა სტრატეგიული დანიშნულების პროდუქტი იქნა შემოტანილი კერძო სტრუქტურების მეშვეობით ეროვნული ბანკის მიერ დიდი კრედიტების გაცემის შედეგად, რადგანაც ბანკის ყოფილი პრეზიდენტი სწორედ ამით ამართლებდა მის მიერ გატარებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. მან პარლამენტის სხდომაზეც განაცხადა: რომ არა ასეთი პოლიტიკა, მოსახლეობა შიმშილით დაიღუპებოდაო. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენ სწორედ ეს მიმართულება შევამოწმეთ. შემოწმებამ მოიცვა ამ მიზნით გამოყოფილი 400 მილიარდიდან 109 მილიარდი. ამ 109 მილიარდიდან დანიშნულებისათვის ე.ი. პროდუქტის შემოსატანად გამოყენებული იყო მხოლოდ რვა მილიარდი. დანარჩენი თანხა მოხვდა რესპუბლიკის უნაღდო არხებში და დაიწყო ბრუნვა რესპუბლიკაში. ეს იყო დაუსაქონებელი ფული, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა ლარიბ ბაზარს და გამოიწვია კატასტროფული ინფლაცია და ასევე კატასტროფული გაღატაკება მოსახლეობის 90%-ისა. აი, ეს არის ძირითადი შედეგი იმ „სანაქებო" ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა, რომელსაც ეროვნული ბანკი და კერძოდ მისი ყოფილი პრეზიდენტი ახორციელებდა.

**— თქვენი მუშაობის პროცესში კონტროლის პალატის მუშაკებზე თუ ახდენდა ვინმე ზეწოლას, ვინ იყვნენ ისინი და ვინ იდგა მათ უკან?**

— საერთოდ, კონტროლის პალატის მუშაობა არც ადრე, და მითუმეტეს ახლა, ზეწოლის გარეშე არასდროს ყოფილა. ზეწოლა ყოველთვის არსებობს ჩვენი მუშაობის მსვლელობაში, მაგრამ მე არ ვიცი ვინ არის ის ხალხი და ვინ დგას მათ უკან. თუმცა, მუქარა, დაშინება ჩვენი თანამშრომლების მიმართ, მათი ოჯახების მიმართ მუდმივად არსებობს. არაერთი შემთხვევა ყოფილა ჩვენი თანამშრომლების გატაცებისა, მათი დაჭრის და ა.შ.

**— არსებულ საქმიანობასთან დაკავშირებით უამრავი ფალსიფიცირება მოხდა. რომელი პარტიები ან დეპუტატები აღმოჩნდნენ ამ ქაობში ჩათრეულნი და რამდენი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული ამჟამად პროკურატურის მიერ?**

— ჩემთვის ძნელია ზუსტი ციფრის დასახელება თუ რამდენი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მაგრამ ჩვენი მხრიდან ამ საქმესთან დაკავშირებით შესწავლილი იქნა მასალები და სულ 36 საქმე გადავეცით შინაგან საქმეთა სამინისტროს. ზოგიერთ მათგანზე უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. რა შედეგებს მოგვცემს ყოველივე ეს, მე ვერ გეტყვით. ისე კი, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, პიროვნულად შემიძლია ვთქვა, რომ დანაშაულებრივია, თუმცა სამართლებრივი შეფასება სამართალდამცავი ორგანოების საქმეა და კვალიფიკაციაც მათ უნდა მისცენ.

რაც შეეხება პარტიებსა და დეპუტატებს, მათ საკმარისი ჭკუა აქვთ იმისათვის, რომ არ ჩანდნენ დოკუმენტურად ამ საქმიანობაში. შესაძლოა, ისინი ვიღაცის უკან დგანან, მაგრამ მე უნდა ვლაპარაკობდე, მხოლოდ დოკუმენტების საფუძველზე. დოკუმენტებში კი ისინი პრაქტიკულად არ ფიგურირებენ.

**— არც თუ დიდი ხნის წინ „საქართველოში" გამოქვეყნდა წერილი „მოპიტეზე ჰადი, მოგიტეხავ ყველსა. სოციალისტები ვართ შენცა და მეცა..." სადაც საუბარი იყო სოციალ-დემოკრატების მიერ ბანკიდან გამოტანილ 400 მილიონის შესახებ, რაც ბატონმა გურამ მუჩაიძემ სასტიკად უარყო და ამის შესახებ გასაჩივრებითაც კი დაემუქრა რედაქციას. მაგრამ როგორც შემდეგ ჩვენ გვითხრეს, თურმე 400 მილიონი კი არა 900 მილიონი კუპონი ჰქონიათ გატანილი — ასევე ყველასათვის ცნობილია, რომ კიტოვანმა მწვანეთა პარტიის წარმომადგენლებს, ყველას გასაგონად ხაზინის ქურდები უწოდა და მილიარდობით კუპონის გატანა დააბრალა. რამდენად შეეფერება ყოველივე ზემოთ თქმული სიმართლეს და რა შეფასებას მისცემდით მას?**

— მწვანეთა ასოციაცია „თრიალეთმა" ხელზე გაიტანა კრედიტავიზო 102 მილიარდ 700 მილიონ მანეთზე რუსეთში გადასარიცხად, მაგრამ გადარიცხვის ოპერაციები ვერ განხორციელდა და ეს თანხა ჩამოიწერა. ისე რომ იგი გამოყენებული არ ყოფილა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქმე კი საკმაოდ ბუნდოვნად გამოიყურება. მათ წერილით მიმართეს ეროვნულ ბანკის პრეზიდენტს. ბანკიდან თანხა მომსახურე ბანკზე გაცემულ იქნა ნაღდი კუპონების სახით. პოლიგრაფიული აპარატურის შესაძენად. მომსახურე ბანკმა გააკეთა კონვერტაცია ამ თანხისა და შეისყიდა დოლარები. ასე რომ დანიშნულებისამებრ ეს თანხა გამოყენებული არ ყოფილა.

**— თქვენი ერთ-ერთი გამოსვლის დროს ბრძანეთ, რომ გატარებული პოლიტიკისთვის ადამიანებს არ სჯიანო. თქვენი აზრით, დვალიშვილს ლიბერალური პოლიტიკის გატარებისთვის დასჯიან თუ არა.**

— გატარებული პოლიტიკისთვის ადამიანებს სამწუხაროდ არ სჯიან. ამისათვის არსებობს თანამდებობრივი პასუხისმგებლობა. ის, ვინც ვერ ატარებს სწორ პოლიტიკას, თანამდებობიდან უნდა მიდიოდეს. ამ შემთხვევაში დვალიშვილმა თანამდებობა დატოვა. დანარჩენს გამოძიება გადაწყვეტს და მართლმსაჯულება იტყვის საბოლოო სიტყვას. ისე კი, დვალიშვილმა ბრწყინვალედ იცის თუ ვინ, რომელი სახელმწიფო მოღვაწე დგას მოცემული კონკრეტული კრედიტის უკან.

**— სანამ სახალხო კონტროლი არსებობდა, თავისი საქმიანობის პერიოდში, მასში მომუშავე ბევრმა თანამშრომელმა გვარიანად მოითბო ხელი. ბატონო რეზო, თქვენი პიროვნების, თქვენი პატიოსნების შესახებ ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ თუ ხდება ასეთი ფაქტები კონტროლის პალატაში და რა ზომებს იღებს პალატის ხელმძღვანელობა?**

— მე არ ვიცი სახალხო კონტროლში ვინ როგორ მოითბო ხელი, იმიტომ, რომ ჩვენ საკმაოდ შორს ვართ ამ საკითხებისგან. რაც შეეხება დღევანდელობას ასეთი ინფორმაციები ჩვენამდე მოდის, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ამის ფაქტობრივი დადასტურება საკმაოდ რთული საქმე გამოდგა. არის რამოდენიმე შემთხვევა, როცა უბრალოდ დავშორდით ასეთ თანამშრომლებს. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, დამტკიცება იმისა, რომ მათ ხელი მოითბეს, ძალიან ძნელია. ამას ძიების ჩატარება უნდა. ხოლო თუ ეს ინფორმაცია სარწმუნო წყაროებიდან მოდის და დარწმუნებული ვარ ამბის მომტანის სიმართლეში, მაშინ ჩვენ ვცდილობთ, რომ ეს ხალხი, ვინც არაკეთილსინდისიერ საქმიანობას ეწევა, სამსახურიდან გავუშვათ. უღირსი პიროვნება, განსაკუთრებით კი დღეს, სახელმწიფოს ასე როდესაც უჭირს, არ უნდა მუშაობდეს ისეთ ორგანოში, როგორიცაა კონტროლის პალატა. ჩვენ გვსურს გავიწმინდოთ ასეთი ხალხისგან, მაგრამ ყოველივე ამას დრო სჭირდება და ვცდილობთ თვითონ გადავწყვიტოთ ჩვენი პრობლემები.

**— ბატონო რეზო, იქნებ ისურვებდით კიდევ რაიმეს თქმას.**

— ვიტყოდი, რომ ყველაფერი ცხადზე უცხადესია. რაც შეეხება ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, მე ვფიქრობ, რომ გასაგებია მოსახლეობისთვისაც. მარტო ერთი პრობლემა დგება, რაც ყველაზე ძირითადი და მნიშვნელოვანია: ძნელია ერთმა რომელიმე ორგანომ შეძლოს სიტუაციის გამოსწორება დღეს ჩვენ უნდა ვსაუბრობდეთ სახელმწიფო მექანიზმების შექმნაზე, ძლიერ სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე. ერთი და ორი ორგანო საქმეს ვერ უშველის. აქ უნდა მუშაობდეს მთელი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, თუ გინდა რაიმეს მიაღწიოთ. ეს ბუნებრივია, მარტო კრედიტებს არ შეეხება. ყველამ ერთად უნდა ვიმოქმედოთ, მაგრამ ამავე დროს ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

ირმა ლომაური

# ახალგაზრდობა — საქართველოს იმედი

ა. წ. 17 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის პრეზენტაცია.

საქართველოს პარლამენტიდან მოწვეული სტუმრების გარდა პრეზენტაციას ესწრებოდნენ: ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები ბატონი ხარსონი და ქალბატონი კენრი გრინი, აგრეთვე მოძრაობა „ახალი თაობის" წარმომადგენლები, ჟურნალისტები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები.

შეხვედრის მიზანი იყო, მოწვეული სტუმრებისათვის გაეცნოთ საქართველოს მომავალი კონსტიტუციის, სახელმწიფოს ძირითადი კანონის პროექტი, რომელიც შეიმუშავა საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებულმა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, მისი პრეზიდენტის ზურა ადეიშვილის ხელმძღვანელობით. კონსტიტუციის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ამ ასოციაციის წევრებმა: გ. კახეთელიძემ, ლ. ალაფიშვილმა და გ. გოგიაშვილმა. ეს ახალგაზრდები სახალხო ფრონტში თავისი სურვილით მოვიდნენ, რომლებმაც შექმნეს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და შეუდგნენ დიდ საქმეს, რომელსაც ერისა და სამშობლოს სამსახური ჰქვია. ისინი დამოუკიდებლად მოაზროვნე ხალხია, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ თავიანთი საქმიანობის წარმართვა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას დღევანდელი პარლამენტის კანონპროექტების შექმნაში ადრეც არაერთხელ მიუღია მონაწილეობა, რომელთაგან აღსანიშნავია კანონი მოქალაქეობის შესახებ. ეს არის თაობა, რომელმაც უნდა იკისროს ის ტვირთი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება ჰქვია.

მრავალ ქვეყანაში ახალი კონსტიტუცია, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი კანონი, გახდა კრიზისიდან გამოსვლის გზა. იმედი ვიქონიოთ, იქნებ ღმერთმა ინებოს და სწორედ ჩვენი ახალგაზრდების მიერ შემუშავებული კანონპროექტი გახდეს საქართველოსთვის გზა ხსნისა, გზა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

ინგა კვირკველია

## საქართველოს სახალხო ფრონტში

იმის გამო, რომ სხფ-ის დარბაზის წევრმა, ბატონმა **თამაზ გამყრელიძემ**, თანხმობა განაცხადა საქართველოს შეხვლაზე სნბ-ში, რაც შეუთავსებელია სხფ-ის როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ორგანიზაციის პრინციპებთან, დარბაზმა გადაწყვიტა ბ-ნი თამაზ გამყრელიძე აღარ ჩათვალოს სხფ-ის წევრად.


## ვყიდი

**პრივატიზებულ, იზოლირებულ სამოთახიან ბინას ვერაზე, მელიქიშვილის ქუჩაზე. მაღალი ბელეტაჟი, ტელეფონით, გათბობით, სათავსოებით. საერთო ფართია 85 კვ. მ. ფასი შეთანხმებით.**

**დარეკეთ: 23-18-46. დოდო.**



მთავარი რედაქტორი
**ნოდარ გრიგალაშვილი**

სარედაქციო საბჭო
**თენგიზ გოგოტიშვილი**
**ვახტანგ კომახიძე**
**ჯემალ კახრაძე**
**რიმა ლომაური**
**მერაბ მაისურაძე**
**სერგო ჯანაშია**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41,
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი
66447

ფასი
1 500 კუპონი